



ციბეხანი

№ 87 / 1-7 აგვისტო / 2011

რუსეთი და საქართველო: პატრიარქის დიალოგი 33. 20

ფოტორეპორტიორების საქმე: პაიჭაძე VS ჩუგოშვილი 33. 06

კონფლიქტები: შეთანხმებული კამპანია 33. 18

მედია: GMG-ის ექსკლუზივი 33. 24

ს ჰეპატიტი – ჩუმი გავლელი 33. 29

დაფიქრდი, სანამ თავდებად დადგები 33. 26

შიშველი პროტესტი 33. 32

პატრის შეროს მელანქოლია 33. 38

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



# ტეხოიზმი საზღვრებს ბეხეშა

33. 10

# FMM

## სტუდია

### 98.0





ნორვეგიაში ტერაქტში დაღუპულებს გლოვობენ, იელსი 2011

**ნომერი:**

- 02 „ლიბერალი“ ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
დააკმაყოფილა თუ არა საზოგადოებრივი ინტერესი ფოტორეპორტიორების სასამართლო პროცესმა და პროკურატურის მიერ გავრცელებულმა მასალებმა?  
*დავით პაიჭაძე VS თამარ ჩუგოშვილი*  
**მსოფლიო**
- 08 „გმირები“ ევროკავშირის წევრობის სანაცვლოდ **მთავარი თემა**
- 10 ტერორიზმი საზღვრებს გარეშე

- კონფლიქტები**
- 18 შეთანხმებული კამპანია **რუსეთი და საქართველო**
- 20 პატრიარქის დიალოგი **მედია**
- 24 GMG-ის ექსკლუზივი **საზოგადოება**
- 26 დაფიქრდი, სანამ თავდებად დადგები **ჯანდაცვა**
- 29 ჩუმი მკვლეელი **ფემინიზმი**
- 32 შიშველი პროტესტი **თვალსაზრისი**
- 36 პირადი და საჯარო სივრცე – სჭირდება თუ არა ლიბერალ ადამიანს მორალი **გიორგი ცხადაია**



- კულტურა**
- 38 პატრის შეროს მელანქოლია
- 40 **ტექნოლოგიები**
- სპორტი**
- 42 ინგლისი შავ სამოსში
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 44 შეთამაშება პროექტთან

**გარეკანზე:**  
ტერორიზმი  
საზღვრებს გარეშე



ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

# ჩახომ ახ ახის საჭირო ჩახედი ენა

## მერაბ მეტრეველის ბლოგი

რუსული ერთადერთი უცხო ენაა, რომელიც ვიცი. მიუხედავად ამისა, როდესაც ნიკა რურუამ თქვა, დღეს საქართველოში რუსულის სწავლის არანაირი საჭიროება არ არისო, დავეთანხმე. მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც კულტურის მინისტრის მოსაზრებები გავიზიარე. თუმცა, მის ამ განცხადებას, სოციალურ ქსელში, ისეთი რეაქცია მოყვა, როგორსაც ვერაფრით წარმოვიდგენდი.

ნიკა რურუას ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ ზოგადად არ მიყვარს, როდესაც ადამიანის ნათქვამს ნებსით, თუ უნებლიეთ ამახინჯებენ, ან არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ.

კაცმა ინვალა, სიტყვები საგანგებოდ შეარჩია, შენ კი ისეთ ინტერპრეტაციას აძლევ, როგორც მოგესურვება. მინისტრს სიტყვა „აკრძალვა“, არ უხსენებია, არც ის უთქვამს, რუსული ცუდი ენაა და მას ინგლისური ჯობიაო. მან მხოლოდ ის თქვა, მისი სწავლების საჭიროება ქვეყანაში აღარ არისო. აბა, დაუკვირდით: რა არის აქ უცნაური? საბჭოთა კავშირის დროს რუსულის ცოდნა უაღრესად საჭირო საქმე იყო, რადგან თუ რუსული არ იცოდი, ცხოვრებაში ვერაფერს მია-

ღწევდი. ახლა ასე არაა. მხოლოდ ეს თქვა, ამ ფრაზით მინისტრმა და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა, მის სიტყვებს მაინც მოჰყვა კრიტიკა.

მაგალითად, გიორგი ცხადაია ჟურნალ „ლიბერალი“ (იხ. 86-ე ნომერი) წერს: „რუსული ის ენაა, რომელიც ჩვენს – პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეგიონში ყველაზე მეტად არის გავრცელებული. რუსული ოფიციალური ენაა რუსეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში. ასევე ეს ენა ფართოდ არის გავრცელებული უკრაინაში, მოლდოვაში და ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში“.

ვფიქრობ, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში რუსული კარგად იციან, არ ღირს საქართველოში საბჭოთა ტრადიციის გაგრძელება და ამ ენის ინგლისურთან ერთად სავალდებულო უცხო ენად გადაქცევა. გიორგი ცხადაიას მიერ ჩამოთვლილ ყველა ქვეყანაში, საქართველოზე არანაკლები მონდომებით სწავლობენ ინგლისურს, მათ შორის რუსეთშიც. ნაძლევს ჩამოვალ, ჩვენი შვილების თაობა, თავის რუს, უკრაინელ, თუ ყაზახ თანატოლებთან თავისუფლად მოახერხებს ინგლისურ

ენაზე. ვერც ის ფაქტი მარწმუნებს რუსულის საყოველთაოდ ცოდნის აუცილებლობაში, რომ რუსულენოვანი ქვეყნები ინვესტიციებით მეორე ადგილზეა. ასე თურქეთიც მსხვილი ინვესტორია და მაშინ თურქულიც სავალდებულო უცხო ენად ვაქციოთ. მალე შეიძლება ჩინეთი გახდეს ყველაზე მსხვილი ინვესტორი. აღარაფერს ვამბობ არაბულ ქვეყნებზე და ასე ნელ-ნელა დავამატოთ უცხო ენები?

არც ჩრდილო კავკასიელებთან ურთიერთობა უნდა იყოს ის მიზეზი, რის გამოც რუსული ჩვენს სკოლებში სავალდებულო უცხო ენად ვაქციოთ. რაც შეეხება სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობას, ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ჩვენს შორის კონფლიქტის თავი და თავი ენობრივი ბარიერი არ არის და არც ის ცვლის დღეს რამეს, ჩვენ რომ ყველანი რუსულად ვლაპარაკობთ. ჩვენს შორის პოლიტიკური შეთანხმება თუ მოხერხდება, ერთმანეთს როგორმე გავაგებინებთ. ოსებს ქართულად საუბარი არასდროს უჭირდათ. რაც შეეხება აფხაზებს, კონსტიტუციით საქართველოში აფაზური ენა მეორე სახელმწიფო ენად არის გამო-

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდუაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქვაჯა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯაია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
შპს ნაწარმი: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსულან ფანოზოვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი  
კონსტრუქტორები: მარკ მალევი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიამიშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარეული, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექიშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე  
რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონღაძე  
ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სსკპ ბამომცემობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბამომცემ: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.  
გამოცემის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge

ცხადებული და თუ აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნდა, ხოლო იქ დაბრუნებულმა ქართველებმა აფხაზეთი არ ისწავლეს, აფხაზეთმა კი - ქართული, მაშინ გამოვა, რომ კონსტიტუციაში მესამე სახელმწიფო ენად რუსული უნდა ჩაენეროთ.

ახლა რაც შეეხება ჩვენი კულტურის სიახლოვეს რუსულ კულტურასთან. დარწმუნებული ვარ, გიორგი ცხადაიამ და ყველამ, ვინც ამ არგუმენტს იშველიებს, კარგად იცის, როგორი სიახლოვე ჰქონდა ქართულ კულტურას სპარსულ კულტურასთან. სად მოვა ამ სიახლოვესთან ჩვენი და რუსული კულტურების ურთიერთობა!

დარწმუნებული ვარ, ქართველთა ნაწილს მაშინ ისევე ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა შვილების-

თვის სპარსული არ ესწავლებინათ, როგორც დღეს ჩვენთან ბევრს რუსულის გარეშე შვილის აღზრდა ვერ წარმოედგინა, მაგრამ სპარსული ენა მალევე ჩაანაცვლა რუსულმა. დღეს დადგა დრო, რომ რუსულიც ჩაანაცვლდეს. ეს საქართველოსთვის ბუნებრივი პროცესია.

ენის სწავლების აკრძალვას დღეს საქართველოში ცოტა ვინმე თუ ითხოვს, მაგრამ სავალდებულო უცხო ენა ის აღარ უნდა იყოს. აქ მხოლოდ ამაზეა საუბარი. სავალდებულო უცხო ენა იქნება ინგლისური, ხოლო რუსული არჩევითი. ვისაც უნდა, მეორე უცხო ენად აირჩევს რუსულს, ან ფრანგულს, ან გერმანულს და ა.შ. კარგი იქნება, ქართულ სკოლებში ესპანური და თურქული ენების სწავლე-

ბაც თუ შემოვა. საუბარი იმაზე, რომ რუსული ენა საქართველოში ისევე მასობრივად უნდა იცოდნენ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ვფიქრობ ზედმეტია. ჯერ ერთი, ამის არც პრაგმატული საჭიროება არსებობს და პოლიტიკურადაც გაუმართლებელი მგონია. ამას სიმბოლური დატვირთვაც აქვს: რუსი რომ საქართველოში ჩამოდის, უნდა ხვდებოდეს, რომ სხვა ქვეყანაში მოხვდა და არა რუსეთის რომელიმე რეგიონში, სადაც მას შეუძლია თავისუფლად ელაპარაკოს ყველას საკუთარ ენაზე. მიუხედავად იმისა, ეს ენა იმ ადამიანებისთვის მშობლიურია, თუ არა. დროა, საქართველოში ჩამოსულმა რუსმა თავი სტუმრად იგრძნოს და არა მასპინძლად. **□**

**გაატარე ზაფხული ოჯახთან ერთად შერატონ ბათუმში!**




**პაკეტის ღირებულება**

- \$ 169** შანი 14 ღამისათვის ოთახი ერთი ტაშით
- \$ 189** შანი 10 ღამისათვის ოთახი ერთი ტაშით
- \$ 209** შანი 7 ღამისათვის ოთახი ერთი ტაშით


**პაკეტი შეიცავს:**

- განთავსება სისტემის ორჯერჯერადი ნომერში
- ზუღის ტაშის სერვისი
- ზუღის ტაშის საღებავი
- განხილვითი ცენტრი სარეგლობო და დასვენების ოთახი
- კონკრეტული შანი მასაჟი
- შანი დასვენების სისტემის ყველა მოწყობისთვის
- უფასო სასუ დამის კლუბის კადავსი

**კირჩხაბი:**

- ფასი მოცემული ოთახი ოთახზე ერთი ღამის ორჯერჯერადი ოთახისთვის
- საუკეთესო პაკეტი ფასზე ერთი ოთახისთვის
- საუკეთესო პაკეტი ფასზე ერთი ოთახისთვის
- 8 დღე 12 ღამისთვის ოთახი შეიძლება 20 ან 30 ღამის ოთახისთვის
- განხილვითი ადამიანისთვის ოთახი შეიძლება 40 ან 30 ღამის
- სპორტული ფასი ოთახის 10% ან 15%
- შერიდების ღირებულება 7 ღამისათვის 10 ღამისათვის
- სპორტული ფასი ადამიანისთვის 10% ან 15% - 1 კვირისთვის

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: +995 422 229000, ან დაგვიმეგობრდით Sheraton Batumi Hotel**



# სახჩიდი სახეიფონო მოსმენებზე

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ საკონსტიტუციო სასამართლოში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი გაასაჩივრა. აღნიშნული პუნქტი სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენებს შეეხება. სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში 26 ივლისს შევიდა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მოითხოვს, რომ სატელეფონო საუბრების ფარული მოსმენის ვადებს არ არეგულირებდეს ისეთი ნორმატიული აქტი, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი ადევს. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს სატელეფონო საუბრების მოსმენის წესს, თუმცა მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი ზოგადი ვადები არ იძლევა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, უსმენენ თუ არა რომელიმე პირს ფარულად. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ამბობენ, რომ კანონი არ განსაზღვრავს ვადებს, თუ რა პერიოდით არის ნებადართული კონკრეტული პირის მიმართ

ხსენებული ღონისძიების განხორციელება. ვადებთან დაკავშირებულ საკითხს არა კანონი, არამედ უწყებრივი ნორმატიული აქტი არეგულირებს, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოების გრიფითაა დაცული. „ფარული მოსმენების განმახორციელებელ სამართალდამცავებს ენიჭებათ ფართო უფლებამოსილება ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის თვალსაზრისით. იმავდროულად, როგორც ფართო საზოგადოების, ასევე იმ პირისათვის, რომელსაც შეიძლება უშუალოდ შეეხოს სამართალდამცავი ორგანოების ესა თუ ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, უცნობია სამართალდამცავთა საქმიანობის შემზღუდველი სამართლებრივი საფუძვლები“, აცხადებს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

„ახალგაზრდა იურისტები“ ფიქრობენ, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადების გასაიდუმლოება საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-20 და 41-ე მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებს არღვევს. ამ მუხლების მიხედვით ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პირადი შეტყობინების ხელშეუხებლობაა უზრუნველყოფილი.

## იხილეთ აგრეთვე სასამართლო პროცესში

კიევის სასამართლო გენერალური პროკურატურის მოთხოვნა უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის – იულია ტიმოშენკოს დაკავების შესახებ არ დააკმაყოფილა. პროკურატურა ტიმოშენკოს დაკავებას სასამართლოს მუშაობისთვის ხელის შეშლის გამო ითხოვდა, რადგან მოსამართლის მონოდებას, ფეხზე ამდგარიყო, ტიმოშენკო არ დაემორჩილა.

ყოფილ პრემიერ-მინისტრს ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობა ბრალდება. ბრალდების განცხადებით, 2009 წელს ტიმოშენკოს მიერ რუსეთთან გაზის მიღების თაობაზე გაფორმებული კონტრაქტის გამო სახელმწიფომ 188 მილიონი დოლარით იზარალა.

## საინფორმაციო ტექნოლოგიების დარღვევის შესახებ

მარეგულირებელმა კომისიამ კერძო საერთო რადიომუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად კონკურსი გამოაცხადა. კონკურსი შპს „ემ პაბლიშინგსა“ და კომპანია „ჰერეთის“ მოთხოვნის საფუძველზე დაინიშნა. კონკურსში მონაწილე პირები 98,5 სისშირის მოპოვებას შეეცდებიან. ლიცენზია 10 ათას 692 ლარი ღირს. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განაცხადები 2011 წლის 29 აგვისტოს 17 საათამდე უნდა წარადგინონ. თავად კონკურსი კი 30 სექტემბერს გაიმართება.

## ეკა ზუჩაბ ქაჩსიჩიქასთან თანამშრომლობაზე ფიქრობს



საქმის დასრულების შემდეგ ეკა-სთან თანამშრომლობის გაგრძელების გადანყვეტილება ზურაბ ქურციკიძეს არ მიუღია. თავის მხრივ ეკა წინააღმდეგი არ არის, რომ ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტოგრაფი კვლავ დაიქირაოს. თუმცა, როგორც სააგენტოს მთავარი რედაქტორი, სენგიზ სერენი ამბობს, ჯერ კიდევ გაურკვეველია, შეინარჩუნებს

თუ არა ზურა პრესის აკრედიტაციას, ან როგორ შეძლებს დამოუკიდებლად, შიშის გარეშე მუშაობას. სერენის თქმით, გამოქვეყნებული მტკიცებულებები ფოტოგრაფების ბრალეულობაში დასარწმუნებლად საკმარისი არ არის. მისი თქმით, „ყველა მტკიცებულება უნდა გამოქვეყნებულიყო, რადგან ეს ინფორმაცია მათი [სახელმწიფოს] მტკიცებით უკვე გადაეცა უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს და სახელმწიფო საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს“.

## ფუქსისა და ფიქსის ბანაჩიჩი თი შიუსვანა

ისრაელის მოქალაქე ბიზნესმენების რონი ფუქსის და ზეევ ფრენკელის სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა. ბიზნესმენებისთვის განაჩენის გაუქმება სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია. პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის პირველი აპრილის განაჩენის თანახმად, რონი ფუქსს 7

წლით, ზეევ ფრენკელს კი 6 წლითა და 6 თვით საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზების გამო პატიმრობა შეეფარდა. რონი ფუქსს საქალაქო სასამართლომ ბიუჯეტის სასარგებლოდ 500 ათასი ლარის, ზეევ ფრენკელს კი 100 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

## ბენზინბასამაჩიტი სამსახუჩის თანამშრომლები დააჩავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები დააჩავეს. „დიდებე 2009“-ს, შპს „ელ და ემ“-ის, შპს „მაქსოილის“, შპს „ალგეთის“, შპს „ა.ბ.-17“-ის, შპს „არაგვი-ბროკერ-ოილის“ თანამშრომლები, გამოძიების ინფორმაციით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ბენზინგასამართ სადგურებზე არსებული სანავაის ჩამოსასხმელი

აპარატების მექანიზმებს ისე ამონტაჟებდნენ, რომ მრიცხველებზე სანავაი და თანხა სწორად ფიქსირდებოდა, რეალურად კი ავტომანქანების ავზში ნაკლები სანავაი ისხმებოდა. მათ ხელს „საქართველოს სტანდარტების სააგენტოს“ თანამშრომლებიც უწყობდნენ.



### ჩისხვანი

**4. 117**

მილიარდი ამერიკული დოლარია საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა.

**23,7**

პროცენტი შეადგინა მსუბუქი ავტომობილების რექსპორტმა 2011 წლის პირველ ნახევარში.

**40**

თეთრით მოიმატა ბრაზილიიდან შემოტანილი შაქრის ფასმა.

### სიტაბანი



„ოპოზიციის მოთხოვნით, ჩვენ დავთანხმდით იმას, რაც პირადად მე მაინცდამაინც გულზე არ მეხატება. ეს საკითხი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას შეეხება. არ მომწონს ეს ფაქტი, მაგრამ საარჩევნო სისტემის შეცვლა, ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოპოზიციური პარტიებისა და მმართველი პარტიის შეთანხმებაზე

„თუ საქართველოს ბრალდებები სიმართლე იყო და თუ საელჩოსთან აფეთქებაში რუსეთის ხელი მართლა ერია, ეს ცივი ომის შემდეგ აშშ-რუსეთის ურთიერთობებში ყველაზე სერიოზული კრიზისი იქნება და ორმხრივ ურთიერთობებში „გადატვირთვას“ დაასრულებს“. მარკ კერკი, რესპუბლიკელი სენატორი, Washington Times-ის სტატიაში 2010 წელს თბილისში ამერიკის საელჩოსთან მომხდარი აფეთქების შესახებ



**პი**  
**დავით პაიჭაძე**  
ჟურნალისტი

ფოტოგრაფების საქმეზე ხელისუფლებამ პასუხები გასცა, საზოგადოებამ კი მიიღო. მაგრამ ეს პასუხები მხოლოდ ნაწილმა დაიჯერა. ნაწილმა არ დაიჯერა ან პასუხად არ ჩათვალა, ხოლო ნაწილიც გულგრილი დარჩა. არ ვიცი, რომელი ნაწილია სხვებზე დიდი ან ყველაზე მცირე.

ხელისუფლება დიდად არც ცდილა, მთელი საზოგადოება ერწმუნებინა. რადგან ფოტოგრაფების ლამის დაკავებისთანავე ჩამოყალიბდა აქტიური ადამიანების ჯგუფი, რომელიც გამორიცხავდა დაკავებულთა ბრალეულობას. საქმისადმი ასეთ მიმართებას განსაზღვრავდა ჯგუფის წევრთა მანამდელი, ნიჰილისტური ან უალრესად კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი. სწორედ ამ დამოკიდებულების არსებობის გამო იმთავითვე ცხადი იყო, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილი არაფრის დიდებით არ დაიჯერებდა დაკავების ოფიციალურ ვერსიას. საპროტესტო აქციათა გამართვისას მონაწილეთა თვალებსა და ყურებზე აფარებული ხელები ჩემთვის ამის ნიშანი იყო – „არაფრის დანახვა და გაგონება არ მსურს! ვიცი, რომ მართალი ვარ! მჯერა, ხელისუფლება ტყუის!“

ეს არ იყო უბრალო ეჭვი. ეს იყო კატეგორიული უარყოფა იმისა, რომ წაყენებულ ბრალს საფუძველი ჰქონდა. ვფიქრობ, ამ ადამიანებმა საესებით რაციონალურად დაიკავეს ეს, მე ვიტყვოდი, „ნაუგებელი“ პოზიცია: არავინა ისეთი იდიოტი, რომ ვერ ხვდებოდეს – საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმის მასალებს ბოლომდე არავინ გადმოგილაგებს. მაშასადამე, ისინი ყოველთვის ეტყვიან ხალხსა და ხელისუფლებას, რომ საიდუმლოება ბლეფია, არ არსებობს.

ხელისუფლებას კი, ჩანს, არ აღელვებდა აზარტი, რითაც მას რადიკალური სკეპტიკოსები უპროტესტებდნენ ფოტოგრაფთა დაკავებას. ხელისუფლებას აინტერესებდა დაკავებულთაგან მიეღო მეტი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც, განაცხადა, რომ მიაღწია კიდეც. ეტყობა, ამ ინფორმაციის ღირებულებამ გადაწონა ინტენცია, მომხდარის საფუძვლიანობაში დაეჯერებინა მთელი საზოგადოება ან ციხეში ჩაეტოვებინა ბოლომდე დახურდავებული დამნაშავეები. ვინც დაიჯერა, დასჯერდა იმას, რაც თავად იხილა და გაიგონა; არ ინაშა ის, რაც სხვათა ტვინებში იყო და არცკი ჩანდა. გაიზრა, რომ თუ ხელისუფლება იტყვის, როგორ უთვალთვალე ბდნენ ფოტოგრაფებს, როგორ ავლენდნენ და აზუსტებდნენ მათ კავშირებს, შავ შტრიხებს მოაცილებს სტენოგრაფებს, საერთოდაც, გაგანდობს სრულ ინფორმაციას, გაამხელს, რა ხერხებითა და საფარველით, აგრეთვე, ვისთან მუშაობს რუსეთის დაზვერვა – სხვა არაფერი დაგვრჩება გარდა იმისა, რომ განვაცხადოთ:

დღეს ჩვენ ყველანი კონტრდაზვერვის თანამშრომლები ვართ! **■**



ილუსტრაცია მიწერა მასხარაშვილი

## დაახლოვდით თუ ახა სან ფოტოგრაფების სან პროტესტების მიხ ბავ


**■ არავინა ისეთი იდიოტი, რომ ვერ ხვდებოდეს – საიდუმლოებასთან დაკავშირებულ საქმის მასალებს ბოლომდე არავინ გადმოგილაგებს. მაშასადამე, ისინი ყოველთვის იტყვიან, რომ საიდუმლოება ბლეფია, არ არსებობს.**





# საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარება და მათი როლი საქართველოში

**■ გამოძიებამ არათუ სრულად არ გაასაჯაროვა ინფორმაცია, არამედ იმ ნაწილშიც კი არ განხილეს საქმე, რა ნაწილშიც, ოფიციალური განცხადებების თანახმად, საიდუმლოების შემცველი მასალები არ არსებობდა.**



**არა**

**თამარ ჩუგოშვილი**

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმემ საქართველოში უპრეცედენტო საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: საქმე ეხებოდა ჟურნალისტებს, მასალები სრულად გასაიდუმლოებული იყო და გამოძიების მიმართ ნდობა თითქმის არ არსებობდა.

საქმის მიმართ მსგავსი ინტერესი თავისთავად იმსახურებდა მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ღიაობას. მიუხედავად იმისა, რომ, გამოძიების ინფორმაციით, გრიფით საიდუმლო მასალები არსებობდა, საქმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, საზოგადოებას უფლება ჰქონდა, სრულად მიეღო ინფორმაცია საქმის დეტალების შესახებ.

საგამოძიებო ორგანოებმა გააგრძელეს საქმესთან დაკავშირებული გარკვეული მასალა, თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად, ზოგიერთ შემთხვევაში კი, პირიქით – გამოძიების ორგანოების მიმართ არსებული უნდობლობა და ეჭვები საზოგადოების ნაწილს კიდევ უფრო გაულრმავდა.

გამოძიებამ დაკავებულთა ადვოკატებს დასაწყისშივე სრული კონფიდენციალურობის ხელწერილები ჩამოართვა. შესაბამისად, ადვოკატები, ნებისმიერი ინფორმაციის გახმაურების შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. ამ ფონზე უცნაური იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქმის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა საიდუმლოების შემცველ ინფორმაციას, მასალების უმრავლესობა კი ღია და საჯარო იყო. საგულისხმოა, რომ ამგვარი განცხადებების მიუხედავად, ადვოკატებს კვლავაც ეზღუდებოდათ საქმეზე საუბრის შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოძიების განცხადებები და ქმედებები ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ეს კი, უფრო მეტად ზრდიდა უნდობლობას პროცესის მიმართ.

გამოძიებამ არათუ სრულად არ გაასაჯაროვა ინფორმაცია, არამედ იმ ნაწილშიც კი არ განხილეს საქმე, რა ნაწილშიც, ოფიციალური განცხადებების თანახმად, საიდუმლოების შემცველი მასალები არ არსებობდა.

რაც შეეხება სასამართლო პროცესის საჯაროობას, გამოძიებასა და ბრალდებულებს შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოზე საქმის გარემოებების არსებითი განხილვა არ მომხდარა და საზოგადოების მაღალი და ლეგიტიმური ინტერესი ვერც ამ სტადიაზე დაკმაყოფილდა.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმება შედგა და დაკავებული ფოტოგრაფები გამოსაცემელი ვადით გათავისუფლდნენ, საქმის მიმართ ინტერესი არ ჩამცხრალა. საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს ლეგიტიმური სურვილი, გაიგოს, კონკრეტულად რაში დაედოთ ბრალი დაკავებულ ფოტოგრაფებს და რამდენად მყარი იყო გამოძიების მტკიცებულებები. საქმეზე მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი დღემდე აქტუალურია და სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი. **■**

სერბეთი

# "ბმიხები" ევროპის საზღვრის საზღვარი

სერბეთის ხელისუფლებამ ძებნილი გორან ჰაჯიჩი დააკავა და ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადასცა. ჰაჯიჩი ბოლო იყო იმ 161-კაციან „მავ“ სიაში, რომელიც ევროკავშირმა ბელგრადს რამდენიმე წლის წინ გადასცა. „დავლებს“ წარმატების შესრულების შემდეგ სერბეთის მთავრობა ბრიუსელიდან საპასუხო ნაბიჯს ელის.

### ვასო კუჭუხიძე

შვიდწლიანი ძებნის შემდეგ სერბეთის სპეცსამსახურებმა გორან ჰაჯიჩის დაკავება ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე სოფელ კრუსედოლთან შეძლეს. ჰაჯიჩი უკიდურესად გაღარიბებული და ხელოვნების ნიმუშებით დაინტერესებულ დილერს ხვდებოდა, რათა მისთვის ომის დროიდან შემორჩენილი მოდილიანის „Portrait of a Man“ მიეყიდა. სამართალდამცავთა განცხადებით, ჰაჯიჩი შეიარაღებული იყო, მაგრამ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაკავებისას მას ყალბი დოკუმენტები აღმოაჩნდა. დაკითხვის დროს კი განაცხადა, რომ უკანასკნელი რამდენიმე წელი რუსეთს აფარებდა თავს და სამშობლოში დაბრუნება მხოლოდ ფინანსურმა პრობლემებმა აიძულა.

2008-2011 წლებში როდოვან კარაჯიჩისა და რატკო მლადიჩის დაკავებამ ბელგრადს კარგად დაანახა საკუთარი მოსახლეობის მწვავე რეაქცია ასეთი ტიპის მოვლენებზე. ამიტომაც მოსალოდნელი გამოსვლების თავიდან აცილების მიზნით, ჰაჯიჩი დიდხანს არ დააყოვნეს სამშობლოში და უკვე 22 ივლისს ჰააგის ტრიბუნალს გადასცეს, რომლის მიერაც, მძიმე სამხედრო დანაშაულების გამო, ის 2004 წლიდან იძებნებოდა.

1990-იან წლებამდე გორან ჰაჯიჩი სურსათის საწყობში მუშაობდა და სრულიად უმნიშვნელო ფიგურა იყო. ახალგაზრდობაში მან რამდენჯერმე სცადა პოლიტიკური კარიერის აწყობა, მაგრამ უშედეგოდ. ის მსოფლიოსთვის ცნობილი 90-იანი წლების დასაწყისში გახდა, როცა 32 წლის ჰაჯიჩი 1991 წელს სერბეთის სპეცსამსახურებმა,

დღემდე აუხსნელი მოტივით, სლავონიას სეპარატისტული რეგიონის პრემიერ-მინისტრად დანიშნეს.

1991 წლის ბოლოს, ხორვატიაში სამი სეპარატისტული რეგიონის: სლავონის, ბარანიისა და დასავლეთ სრემის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკა კრაინაში გაერთიანების შემდეგ, ჰაჯიჩი ამ ახალი წარმონაქმნის პრეზიდენტად გადაიყვანეს. მისი მმართველობა სულ რაღაც ორ წელს გაგრძელდა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჰაჯიჩს გაუმართლებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიეღო და მრავალი სამხედრო დანაშაული ჩადინა. მათგან გამორჩეული ორია:

1. 1991 წლის შემოდგომაზე, სამთიანი ალყის შემდეგ, ქალაქ ვუკოვარის აღება, რის შემდეგაც სერბებმა 300-მდე უიარაღო ხორვატი მამაკაცი დახვრიტეს, ხოლო 20 ათასზე მეტი არასერბი ქალაქიდან გააძევეს.

2. 1992 წელს ხორვატიის მთავრობამ ბრძოლის შეწყვეტისა და დამატებითი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, კრაინას ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება შესთავაზა. დიდი სერბეთის აღდგენის იდეით შეპყრობილმა ჰაჯიჩმა მონაწილეობა ეს წინადადება უარყო, რამაც სამხედრო მოქმედებები კიდევ რამდენიმე წელი განელა და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

ჰაჯიჩი უკვე გადაყვანილია შევენიგენის ციხეში, სადაც ათეულობით თანამოქალაქესთან ერთად დაელოდება სასამართლოს განაჩენს. პროცესი კი სულ რამდენიმე

თვეში დაიწყება. ჰააგაში მას 16 მუხლით გაასამართლებენ. ნაყენებულ ბრალდებებს შორის ყველაზე მძიმე კი, რა თქმა უნდა, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

ჰაჯიჩის წინამორბედ მილან ბაბიჩს, რომელიც კრაინას თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას 1991-92 წლებში მართავდა, 2004 წელს დანაშაულის აღიარების შემდეგ ჰააგის ტრიბუნალმა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ 2006 წელს იგი საკანში მკვდარი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, ბაბიჩმა თავი მოიკლა, თუმცა საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ იგი მოკლეს. რაც შეეხება ჰაჯიჩის შემცვლელ მილან მარტიჩს, 2007 წელს მას 35 წლით პატიმრობა მიესაჯა. დაახლოებით ამ ვადით პატიმრობას უწინასწარმეტყველებენ ანალიტიკოსები ჰაჯიჩსაც, თუკი იგი სასიკვდილო განაჩენს გადაურჩა. ჰააგის სასამართლოს წარმომადგენლის განცხადებით კი, რადგანაც უკვე ყველა ძებნილი დაკავებულია, სასამართლო პროცესის დასრულების თარიღად 2014 წელი დადგინდა.

ჰაჯიჩის დაკავებას დადებითად შეხვდნენ დასავლეთში. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მიესალმა სერბეთის წარმატებულ ოპერაციას და დაამატა, რომ „იუგოსლავიის კონფლიქტის ბოლო სამხედრო დამნაშავეს დაკავება მაგალითი იქნება ყველასათვის, რომ ისინი ვერსად დაემალებიან სამართალს და ადრე თუ გვიან პასუხს აგებენ ჩადენილი დანაშაულისთვის.“ ბელგრადის მიმართ ქება არც ბრიუსელში დაიშურეს. მანუელ ბაროზუს განცხადებით:



გორან ჰაჯიჩის დაკავება

**■ ჰააგაში ჰაჯიჩის 16 მუხლით გაასამართლებენ. ნაყენებულ ბრალდებებს შორის ყველაზე მძიმე კი, რა თქმა უნდა, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.**

„ბელგრადის მხრიდან აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულება პოზიტიური სიგნალია ბრიუსელისა და მისი მეზობლებისათვის, რომ სერბეთში კანონის უზენაესობა ზეიმობს. ეს მომგებიანია, როგორც ჩვენთვის, ასევე თავად სერბეთისთვის, რადგანაც სერბმა ერმა დაამტკიცა, რომ წარსულს დაუპირისპირდა და ევროპულ მომავალზე გააკეთა არჩევანი“.

მართალია, ტადიჩის მთავრობამ ერთი დიდი გამოცდა წარმატებით ჩააბარა, მაგრამ წინ კიდევ რამდენიმე დაბრკოლება ელის. მათგან გამორჩეულია კოსოვო, რომლის დამოუკიდებლობასაც სერბეთი

დღემდე ვერ ეგუება. ეს კი ბრიუსელსა და ბელგრადს შორის სერიოზული უთანხმოების საგანია. პრიშტინამ რამდენიმე კვირის წინ სერბულ საქონელს ბლოკადა გამოუცხადა და საზღვრები გაამაგრა. 25 ივლისს კი კოსოვოელმა სამხედროებმა ორი სასაზღვრო პოსტის წართმევა სცადეს სერბეთისთვის, რასაც მსხვერპლი და ვითარების უკიდურესად დაძაბვა მოჰყვა. ამჟამად, რომ ბრიუსელსა და ბელგრადს ახლო მომავალში ძალიან გაუჭირდება ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა.

ბელგრადი დიღემის წინაშე დგას, თუკი ის კოსოვოს საკითხზე საკუთარ პოზიციას

გადახედავს, ამით ევროკავშირში შესვლის შანსებს ძალიან გაზრდის. მეორე მხრივ კი, საკმაოდ არაპოპულარული ნაბიჯი მმართველ კოალიციას ხმებს დააკარგვინებს, რაც 2012 წლის არჩევნებისთვის მათ ხელისუფლებაში დარჩენას საფრთხეს შეუქმნის. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა, სადაც ტადიჩმა ხმების მხოლოდ 51 %-ით მოახერხა გამარჯვების მოპოვება, აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მმართველი გუნდით უკმაყოფილოა. 2011 წელს კი ამ ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება მომავალ გამარჯვებაში დარწმუნებულია და იმედი აქვს რომ მოსახლეობას დაპირებას შეუსრულებს და ევროკავშირში შეიყვანს.

თავის მხრივ, საბრძოლველად არიან განწყობილი ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებას ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების ლალატში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ყველა რეფორმა, რასაც მმართველი გუნდი აკეთებს, კარგად შეფუთული ტყუილია და ერთი მხრივ, ბრიუსელის, მეორე მხრივ კი, საკუთარი მოსახლეობის მოტყუებას ისახავს მიზნად. მათი აზრით, ასევე ფარსია მთავრობის განცხადებები, რომ ევროკავშირში შესვლა სერბეთს ყველა პრობლემას მოუხსნის. „საბერძნეთსა და პორტუგალიაში განვითარებულმა მოვლენებმა უნდა მიგვახვედროს, რომ ევროკავშირი არ არის პანაცეა“, – განაცხადა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელმა.

თავად მოსახლეობის დამოკიდებულებაც შეიცვალა ევროკავშირის მიმართ. ეროვნულ გმირებად შერაცხული ადამიანების ევროკავშირის წევრობის სანაცვლოდ ჰააგის ტრიბუნალისთვის კრიმინალებად გადაცემა, არამარტო ხელისუფლების რეიტინგს აყენებს სერიოზულ დარტყმას, არამედ ევროკავშირის მიმართაც ცვლის პოზიციას. თუკი 2003 წელს სერბთა 76 % უჭერდა მხარს ქვეყნის ევროკავშირში განწევრიანებას, დღეს ეს ციფრი 51-54%-მდე დაეცა.

მიუხედავად ამისა, ანალიტიკოსები თვლიან, რომ 2013 წელს ხორვატიის განწევრიანების შემთხვევაში სერბეთის შანსები გაცილებით გაიზარდა. ბელგრადს განსაკუთრებით საბერძნეთი ლობიერებს ბრიუსელში და სწორედ ამ ქვეყნის პრეზიდენტობის დროს, 2014 წელს ვარაუდობენ სერბეთის ევროკავშირში განწევრიანებას. ■



ნორვეგია

## ტახოიზმი საზღვრებს ბაიშუ

22 ივლისს ნორვეგიამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა. თუმცა ევროპელებისთვის ადამიანურ ტრაგედიაზე უფრო შოკისმომგვრელი იმ ფაქტის გაცნობიერება იყო, რომ წლების მანძილზე აქცენტის მუდმივად მუსლიმ ფუნდამენტალისტებზე გადატანით, საკუთარ ქვეყნებში მომრავლებული ექსტრემისტული მოძრაობები და პოტენციური ძალადობის ცხელი კერები გამოეპარათ.

დიანა ჩაჩუა



ოსლო, ივლისი 2011

მასობრივ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ანდერს ბერინგ ბრეივიკის დახურული სასამართლო პროცესის შედეგებს ოსლოს სასამართლოს გარეთ ათობით ყურნალისტი, მსხვერპლთა ოჯახის წევრები, ახლობლები და უბრალოდ მოქალაქეები ელოდნენ. სასამართლოს კარებთან, კიბებთან და მიმდებარე ქუჩებზე დაძაბული და საშინლად მძიმე განწყობა იგრძნობოდა.

32 წლის ბრეივიკს, ნორვეგიის კანონმდებლობის მიხედვით, მაქსიმუმ 21

წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. დანაშაული, რაშიც მას ბრალი ედება, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური და შემზარავი ტერაქტია.

ტერორისტმა კვალის ასახვევად ჯერ ოსლოს ცენტრში, პრემიერ-მინისტრის ოფისთან მოაწყო აფეთქება, შემდეგ კი უტოიას კუნძულისკენ გაემართა, სადაც პოლიციელის ფორმაში გადაცემულმა ახალგაზრდების შეკრება დაიწყო და შემდეგ ცივისსხლიანად გაუსწორდა მათ. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრეივიკი სპეციალურ, აკრძალულ ტყვიებს იყენებდა, რომელიც ორგანიზმში ზიანის უმალეს დონეს იწვევს. ტერაქტში 68 ადამიანი დაიღუპა. ზოგი, გაქცევის მცდელობისას, ტბაში დაიხრჩო.

„მას სჯერა, რომ ის ომშია, რომლისაც არავის ესმის, თუმცა 60 წელიწადში ჩვენ მას ყველანი კარგად გავუგებთ,“ – განაცხადა ბრეივიკის ადვოკატმა თავისი კლიენტის შესახებ. ადვოკატის თქმით, ბრეივიკი წუხს ნამოქმედარზე, თუმცა მიიჩნევს, რომ იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო – ის ომშია.

ერთ-ერთი, ვინც ტბის ფსკერზე იპოვეს, 23 წლის ქართველი გოგონა თამთა ლიპარტელიანი იყო, რომელსაც ზურგში ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. ქუთაისელი თამთა ლიპარტელიანი „საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტების“ ქუთაისის ორგანიზაციის აქტივისტი იყო. ახალგაზრდული ბანაკის კიდევ ერთი ქართველი მონაწილე, ასევე ქუთაისელი ნათია ჩხეტიანი კუნძულზე მომხდარ თავდასხმას უვნებელი გადაურჩა.

მუშათა ახალგაზრდული ლიგის ერთ-ერთი ლიდერი, 20 წლის ჰანა კრისრინ ფრიდტუნი სროლების დაწყებიდან სიკვდილამდე სატელეფონო ხაზზე იყო ნორვეგიის ნაციონალურ მაუწყებელთან.

„ხმამალა საუბარი არ შემიძლია, უნდა ვიჩურჩულო. სულ 20-ნი ვართ და ვიმალებით. სროლა გვესმის. ვერ ვხვდებით, რა ხდება“, – ამბობდა ის. შემდეგ სატელეფონო ხაზის უტოიას ბოლოდან სამი გასროლის ხმა გაისმა. ჰანამ ჟურნალისტს უთხრა, რომ ტელეფონი უნდა

გაეთიშა, რადგან მათ ვილაც უახლოვდებოდა.

15 წლის ელისემ სროლის ხმა გაიგონა. შემდეგ პოლიციელი შენიშნა, რომელმაც მოულოდნელად მის თვალწინ ადამიანებს სროლა დაუწყო. ის იმავე კლდის უკან დაიმალა, რომელზეც მკვლეელი იდგა.

„კლდის ზევიდან მისი სუნთქვის ხმა მესმოდა“, – იხსენებს ელისე მედიასთან საუბარში. კლდეს ამოფარებული ნამდვილმა პოლიციამ მხოლოდ ერთი საათის შემდეგ იპოვა.

„სად იყავით აქამდე?!“ – ყვიროდნენ გადარჩენილები, როდესაც პოლიციის ქვედანაყოფები გამოჩნდნენ. პოლიციამ მოგვიანებით თავადაც აღიარა, რომ ოსლოდან უტოიამდე მისაღწევად ჯერ მანქანებით მგზავრობა მოუწიათ, შემდეგ კი კატერების შოვნა დასჭირდათ, რაშიც 45 წუთი დაეკარგათ. ვერტმფრენის გამოყენების შემთხვევაში მაშველთა გუნდი კუნძულს 15 წუთში მიაღწევდა, რაც არაერთი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩინდა. თუმცა ყველაფერი იმანაც გაართულა, რომ მთელი ყურადღება და რესურსი ოსლოში მომხდარ აფეთქებაზე იყო გადატანილი და ქვედანაყოფების კუნძულზე გადასროლას მეტი დრო დასჭირდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, მთავრობამ პოლიციის მუშაობა წარმატებულად შეაფასა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრეივიკის განცხადებით მას თანამზრახველები ჰყავდა, გამოძიება საპირისპიროს ამტკიცებს: ნორვეგიელი ულტრამარჯვენე სრულიად მარტო მოქმედებდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ექსტრემისტული ძალადობის სამყაროში მარტოხელა ტერორისტების ფენომენი იკიდებს ფეხს.

„სოლო ტერორიზმის“ შესახებ ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფები უკვე რამდენიმე წელია საუბრობენ. საუბარია მაგალითად ალ-ქაიდას გამონვრთნილ მებრძოლზე, რომელიც შემდეგ ორგანიზაციის მცირე კოორდინირებით, ან სრული დამოუკიდებლობით აგრძელებს „მუშაობას“. ასეთი ტაქტიკა ჩართულ მხარეებს შორის ინტერნეტში საუბრების, განხილვების და მიმოწერის



ოსლო, ივლისი 2011

რაოდენობას ამცირებს, რაც ჩვეულებრივ ანტიტერორისტული ჯგუფებისთვის ტერორისტების კვალზე გასვლის მთავარი გზაა.

თუმცა ბრეივიკის შემთხვევა კიდევ უფრო რთულია, რადგან ის, როგორც გამოძიება ამტკიცებს, არცერთი ორგანიზაციის სახელით არ მოქმედებდა.

„ეს უსაფრთხოების სამსახურებისთვის სრულიად განსხვავებული გამოწვევაა. ყველაფერი სათავეს მის გონებაში იღებს,“ – ამბობს ადგილობრივი დაზვერვის ხელმძღვანელი ჯეინ კრისტიანსენი ანდერს ბრეივიკზე. ტერორისტი თავს წმინდა მებრძოლად მიიჩნევს, ისევე როგორც მუსლიმი ფუნდამენტალისტები. თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბრეივიკი თავს ქრისტიანად აღიქვამს და ბრძოლას მუსლიმების მასიური იმიგრაციის წინააღმდეგ აწარმოებს. მისი მიზანი „ევროპის გადარჩენა“.

ექვმიტანილთან შეხვედრიდან გამოსული ადვოკატი ჟურნალისტებს ეუბ-

ნებოდა, რომ ბრეივიკი მშვიდად არის, თუმცა „მის მიერ დანახული რეალობა ძალიან რთული ასახსნელია.“

„ჩვენ უნდა განვასხვავოთ ექსტრემისტული იდეები, რომლის ქონაც სრულიად ლეგიტიმური და ქმედებები, რომელიც მათ მოყვება. არალეგიტიმური მხოლოდ ამ ექსტრემისტული იდეების ძალადობრივი გზებით განხორციელება“, — მსგავსი განცხადების მოსმენა იმ ქვეყნის პრემიერ-მინისტრისგან, რომლის ერმაც რამდენიმე საათის წინ ორი სასტიკი ტერაქტი გადაიტანა ბევრისთვის შოკისმომგვრელი იყო. პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი ძალადობის საპასუხოდ მოსახლეობას კიდევ უფრო მეტი ღიაობისკენ და ტოლერანტობისკენ მოუწოდებდა.

ეს არ იყო ტიპური რეაქცია ტერორიზმის საპასუხოდ. დასავლეთის სხვა ქვეყნების ლიდერებისგან განსხვავებით, ნორვეგიის ქვეყნის მმართველი გუნდი ყველა საჯარო გამოსვლაში ხაზგასმით

აღნიშნავდა, რომ ტერაქტების შემდგომი ნორვეგია ძველი ნორვეგიისგან არაფრით იქნებოდა განსხვავებული.

ეს განცხადებები მხოლოდ დაპირებად არ დარჩენილა. ოსლოს ცენტრი, რომელსაც ჯერ ისევ ატყვია აფეთქების კვალი, მალევე გახსნეს, პოლიტიკოსები და სამეფო ოჯახის წევრები კი ტერაქტების შემდგომ დღეებს მოქალაქეებთან შეხვედრებში ატარებდნენ, მინიმალური დაცვის თანხლებით.

თუმცა, რაც კიდევ უფრო შესამჩნევი იყო უცხო თვალისთვის, ტრაგედიის შემდეგ ნორვეგიაში არავის დაუდანაშაულებია მთავრობა უსაფრთხოების არასაკმარის ზომებში და არ მოუთხოვია უსაფრთხოების საკითხების გადახედვა. როგორც ტერორიზმის საკითხებში ნორვეგიელმა ექსპერტმა ტორე ბიორგომ Huffington Post-თან საუბარში განაცხადა, უფრო მკაცრ კომპიუტერულ ზედამხედველობას შესაძლოა თავმდამსხმელი გამოეყვინა, მაგრამ იქვე დაამატა, რომ



■ „სად იყავით აქამდე?!“ – ყვიროდნენ გადარჩენილები, როდესაც პოლიციის ქვედანაყოფები გამოჩნდნენ. პოლიციამ მოგვიანებით თავადაც აღიარა, რომ ოსლოდან უტოიამდე მისაღწევად ჯერ მანქანებით მგზავრობა მოუწიათ, შემდეგ კი კატერების შოვნა დასჭირდათ, რაშიც 45 წუთი დაეკარგათ.

„ასეთი დონის მონიტორინგს ნორვეგიელი ხალხი არასოდეს დაეთანხმებოდა.“

თავდამსხმელის შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებამდე, უცხოური მედია მუსლიმი ტერორისტების შესაძლო კვალის შესახებ სპეკულაციებს მიეცა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ამერიკული გამოცემები. ამერიკელი ანტი-ისლამისტი ბლოგერი პამელა გელერი თავის ბლოგზე წერდა: „ჯიჰადი ნორვეგიაში?“ „ჯიჰადის იგნორირებამ შედეგი მოიტანა“, „გასულ ხუთ წელიწადში ყველა გაუპატიურების უკან მუსლიმები დგანან“. მსხვერპლთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მისი განცხადებები სულ უფრო მწვავე ხდებოდა, სანამ არ გაირკვა, რომ თავდამსხმელი სულაც არ ყოფილა მუსლიმი. მეტიც, მას სძულდა მუსლიმები და პატივს სცემდა პამელა გელერს.

მომხდარს ნორვეგიული მედია გაცილებით მომზადებული შეხვდა – ისინი მოთმინებით ელოდნენ თავდასხმების ყველა დეტალის გარკვევას.

მოვლენების შეფასების და აღქმის ასეთმა განსხვავებულმა მიდგომებმა ნორვეგიის განსხვავებულობის ფენომენს კიდევ ერთხელ გაუსვა საზი. 1994 წელს ნორვეგიელებმა მეორედ თქვეს უარი ევროკავშირში განწევრიანებაზე, რადგან მათ საკუთარი გზით სვლა სურდათ. ეს არის ქვეყანა, სადაც მშვიდობა 22 ივლისამდე ყველაზე ტრადიციული ეროვნული პროდუქტი იყო. ნორვეგიაში პრემიერ-მინისტრი სამსახურში ველოსიპედით დადის, ქვეყნის უდიდესი ბანკის აღმასრულებელი დირექტორი კი სასურსათო განყოფილებაში მარტოდმარტო დაიარება. აქ ააშენეს მსოფლიოში ყველაზე კომფორტული ციხე, რომლის საცხოვრებელი პირობები განვითარებად სამყაროში საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანის საცხოვრებელ პირობებს ჯობნის. ეს ქვეყანა გაეროს აქტიური მხარდამჭერია და დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო ტექნიკის გარეშე ხვდება. თუმცა კი ნატოს წევრია. პოლიცია ნორვეგიის ქალაქებში შეუიარაღებელი დადის, სასჯელალსრულების სისტემა კი დასჯის ნაცვლად კრიმინალების რეაბილიტაციაზე ზრუნავს.



კუნძული უტოია, ნორვეგია, ივლისი 2011

■ **ტოლერანტული ნორვეგია, რომელიც მშვიდობის და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობების და კონფერენციების ცნობილი ინიციატორია, ქსენოფობიური პოპულისტური იდეების ევროპულ სამოთხედ იქცა.**

როდესაც თავდასხმების შემდეგ ჟურნალი Time ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს სახლში ეწვია, იენს სტოლტენბერგი ჟურნალისტს ჩვეული თავდაჭერილობით და თავდაჯერებულობით შეხვდა. კითხვაზე, როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა გაარკვია, რომ თავდასხმელი არა მუქანინანი მუსლიმი, არამედ ქერა ნორვეგიელი იყო, მან ჟურნალისტს ასე უპასუხა: „პირველი, რაც გავიფიქრე, იყო ის, რომ ეს სრულიად განსხვავებულ დებატებს წამოჭრიდა, ვიდრე იმ შემთხვევაში, ის რომ უცხოელი ყოფილიყო.“

ამ ფაქტმა ნამდვილად წამოჭრა დებატები ევროპაში ულტრამემარჯვენე მო-

ძრაობების და ექსტრემიზმის შესახებ, ზოგიერთისთვის სასიკეთოდაც კი. ასეთი, პირველ რიგში, პრემიერ-მინისტრი და მისი ლეიბორისტული პარტია არიან. გასულ კვირას ოსლოში გაზეთ VG-ის გამოკითხვის შედეგებმა პრემიერ-მინისტრისადმი მოსახლეობის დიდი ნდობა აჩვენა. გამოკითხულთა 94 პროცენტი მიიჩნევს, რომ სტოლტენბერგმა თავის საქმეს თავი „კარგად“ ან „ძალიან კარგად“ გაართვა.

სტოლტენბერგის ტოლერანტობა ბრეივიკისთვის თავდასხმის სამიზნე ჯგუფის შერჩევის მთავარ კრიტერიუმად იქცა. უტოიას საზაფხულო ბანაკი

მისთვის ორმაგად მიმზიდველი აღმოჩნდა, რადგან კუნძულზე შეკრებილები ანტირასისტები იყვნენ და ბევრი მათგანი ნორვეგიის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი იყო.

პრემიერ-მინისტრმა თავდასხმების გამოსაძიებლად დამოუკიდებელი კომისია შექმნა, რომელმაც უსაფრთხოების პოლიტიკისთვის დასკვნები უნდა დადოს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს იმას სულაც არ ნიშნავდა, რომ ამიერიდან საჯარო უწყებებში დეტექტორებს დააყენებდნენ, ან პოლიცია ცეცხლსასროლი იარაღით ივლიდა.

„შეიარაღებული პოლიცია უტოიას და ოსლოს შემთხვევებში არაფერს შეცვლიდა. ვერცერთ საზოგადოებას ვერასოდეს ექნება ძალადობისგან 100 პროცენტიანი დაცვის გარანტია,“ – ამბობს სტოლტენბერგი, რომელიც დასავლურ სამყაროში საჯარო სამსახურებში მიღებული უსაფრთხოების მაღალი ზომების წინააღმდეგ მეტრძოლი პირველი სკანდინავიელი პოლიტიკოსი არ არის.





კუნძული უტოია, ნორვეგია, ივლისი 2011

თუმცა, ნორვეგიის ახლანდელი პრემიერისგან განსხვავებით, ზოგს ეს ახირება ძვირად დაუჯდა. 1986 წელს შვედეთის პრემიერ-მინისტრი ოლაფ პალმე სტოკჰოლმის ქუჩაში მოკლეს, როდესაც ის კინოდან დაცვის გარეშე, ცოლის თანხლებით ბრუნდებოდა. უახლესი ისტორიის მაგალითიც არსებობს, როდესაც 2003 წელს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ლინდი სავაჭრო ცენტრში შოპინგისას მოკლეს.

ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების შესლილი ადამიანის გონებაში ან მის საჯაროდ გამოქვეყნებულ მანიფესტში ძიება სახიფათო საქმეა, თუმცა საფუძვლიანმა დაკვირვებამ ყველა კიდევ ერთ მოულოდნელ დასკვნამდე მიიყვანა: როგორც აღმოჩნდა, სამაგალითოდ ტოლერანტული ნორვეგია, რომელიც მშვიდობის და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობების და კონფერენციების ცნობილი ინიციატორია, ქსენოფობიური პოპულისტური იდეების ევროპულ სა-

მოთხედ იქცა.

ნორვეგიის „პროგრესულმა პარტიამ“, რომლის წევრი ადრე ბრევიკიც იყო, გასულ საპარლამენტო არჩევნებზე, 2009 წელს, ხმების ერთი მეხუთედი მიიღო. მეტიც, გასულ წელს შვედეთის „დემოკრატიული პარტია“ პირველი ულტრამემარჯვენე პარტია იყო, რომელიც პარლამენტში მოხვდა. ამ პარტიამ ხმების 6 პროცენტის მიღება შეძლო, და ეს იმის მიუხედავად, რომ არჩევნებს წინ უსწრებდა ადგილობრივი კანდიდატის მარი ლუის ენდერლიტის სკანდალი, რომელმაც Facebook-ზე გამოთქვა აზრი, რომ მიგრანტებს თავში ტყვია უნდა დაახალონ, ჩანთებში ჩასვან და უკან მათ სამშობლოებში გააბრუნონ. გამოწვევის არც დანია აღმოჩნდა, სადაც „სახალხო პარტიამ“ 2007 წელს ანტისაიმგრაციო კამპანიის – „დავიბრუნეთ დანია“ – წყალობით ხმების 14 პროცენტი მიიღო და დღემდე მთავრობაში გავლენიანი კოალიციური პარტნიორია. მიმდინარე წლის აპრილში ფინეთის არ-

ჩევნების შედეგად ნაციონალისტური პარტია „ჭეშმარიტი ფინელები“ პარლამენტში წარმომადგენლობით მესამე ყველაზე დიდ პარტიად იქცა მას შემდეგ, რაც ხმების 19 პროცენტი მიიღო.

ერთი შეხედვით მშვიდობიან სკანდინავიას არც ადრე ჰქონია ძალადობის მიმართ იმუნიტეტი. გასულ ზამთარში სტოკჰოლმის ცენტრში შვედმა მუსლიმმა თავი აიფეთქა, 2005 წელს დანიურ გაზეთში მუჰამედის კარიკატურების გამოქვეყნებას კი მსოფლიოს მასშტაბით არაერთი სიცოცხლე შეენირა. თუმცა ყველაზე საშიშ მოვლენად სკანდინავიისთვის არა მუსლიმი ფუნდამენტალისტები, არამედ ულტრამემარჯვენე მოძრაობები აღმოჩნდნენ. გასულ შემოდგომაზე, არჩევნების შემდეგ, შვედეთის ქალაქ მალმომში შეიარაღებულმა მამაკაცმა 15 გამეულ მუქკანიან ადამიანს ესროლა.

მომხდარის ამოსახსნელად კიდევ ერთ პოლიტიკურ ასპექტზე საუბრობს აბერდენის უნივერსიტეტის სკანდინავიური პოლიტიკის ლექტორი ანდერს



ოსლო, ივლისი 2011

■ ტრაგედიამ ნორვეგიელი ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის სურვილზე კატალიზატორივით იმოქმედა. გაზეთმა Dagsavisen-მა დაადასტურა, რომ გასულ დღეებში ნორვეგიულ პარტიებში ახალი წევრების უჩვეულო მატება შეინიშნებოდა.

ვილდფელდტი ჟურნალ Time-თან საუბარში. მისი შეფასებით, მმართველი პარტიების ცენტრისტული პოლიტიკური აგენდის ირგვლივ გაერთიანება ულტრამემარცხენე და ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი პარტიებისთვის დიდ ხერხულს ქმნის. მაგალითად, მას შედეგის ახალი პრემიერ-მინისტრი ფრედრიკ რეინფელდტი მოჰყავს. შეედი პოლიტიკოსი კონსერვატორია, თუმცა ის ამავე დროს მემარცხენე იდეებითაც გამოირჩევა. რეინფელდტის მემარჯვენეებსა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის მინიმალური განსხვავების გამო, ანდერს ვილდფელდტის აზრით,

პროტესტის გამოხატვის მსურველ ამომრჩევლებს სხვა გზა არ რჩებათ თუ არა ექსტრემისტული პარტიების მხარდაჭერა.

22 ივლისს მომხდარმა ტრაგედიამ ნორვეგიელი ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩართულობის სურვილზე კატალიზატორივით იმოქმედა. გაზეთმა Dagsavisen-მა დაადასტურა, რომ გასულ დღეებში ნორვეგიულ პარტიებში, მათ შორის კონსერვატულ პარტიებში ახალი წევრების უჩვეულო მატება შეინიშნებოდა.

„მან ჩვენი მეგობრების სიცოცხლე წაიღო, თუმცა არა მათი აზრები, სურ-

ვილები და რწმენები. ეს ჩვენთან ერთად დარჩება და განვითარდება,“ – უთხრა New York times-ს 18 წლის ჰელე განესტადმა.

ანდერს ბერინგ ბრევიკი ამბობს, რომ ის ევროპის განმათავისუფლებელ ომშია ჩართული, რამაც კიდევ ერთხელ აქტუალური გახადა „ცივილიზაციების შეჯახების“ ცნობილი თეორია. მთავარი ახლა იმის განსაზღვრაა, თუ რომელ ცივილიზაციებს შორის ომზეა საუბარი. პალესტინელი-ამერიკელი ჟურნალისტი აჰმედ მური ამბობს, ამ ბრძოლაში ისლამი და დასავლეთი სულაც არ არიან დაპირისპირებული მხარეები და ომი მსოფლიოს კეთილგონიერ ადამიანებსა და ულტრამემარჯვენე ფანატიკოსებს შორის მიმდინარეობს.

„ცივილიზაციების შეჯახების“ მორიგ ბრძოლას ნორვეგია ასე პასუხობს: „მეტი დემოკრატია, მეტი ლიაობა, მეტი ჰუმანურობა, მაგრამ არა გულუბრყვილობა.“ ■

# ცხელი ზაფხული MasterCard®-ისგან

გადაიხადე  
MasterCard®-ით  
ნაღდი ფულის  
ნაცვლად და მიიღე  
საჩუქარი!

აქვია - 1 ივლისიდან  
31 აგვისტომდე!

გახე ახალი MasterCard®  
Gold ან Platinum  
ბაზათის მფლობელი,  
ჩაეხეთ აქციაში:  
გადაიხადე MasterCard®-ით,  
გახე 10 - დან ერთ - ერთ ყველაზე  
აქტიური მომხმარებელი,  
მიიღე საჩუქად

## iPad 2

აჩის ჩაღაც, ჩასაც ფულით ვე შეიძენ,  
დანაჩენისთვის ეი ახებობს MasterCard®



საკრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში

## შეთანხმებული ხამზანია

აფხაზეთის არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა. საპრეზიდენტო კანდიდატები – ალექსანდრე ანქვაბი, სერგეი შამბა და რაულ ხაჯიმბა პირობას დებენ, რომ პატიოსნად იბრძობებიან.

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი



აფხაზეთის საპრეზიდენტო კანდიდატებმა ხელი მოაწერეს ქარტიას „სამართლიანი არჩევნებისთვის“ და წესების დაცვით თამაშის პირობა დადეს, რათა 2004 წლის არჩევნების მსგავსი სიტუაცია აღარ განმეორდეს. უკვე დღეს წინასაარჩევნო ბრძოლა სრული ტემპით მიმდინარეობს. ერთ-ერთ კანდიდატს – სერგეი შამბას – რამდენიმე ათეულმა გავლენიანმა პირმა გამოუცხადა მხარდაჭერა. ყველაფერი სამართლიანად მოხდა. ამ შეხვედრაზე შავ პიარს ადგილი არ ჰქონია.

შეთანხმება, რომელსაც კანდიდატებმა ხელი მოაწერეს, რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ითვალისწინებს, როგორც არის მანიპულაციების, ფალსიფიკაციის და შავი პიარის გამოყენების დაუშვებ-

ბლობა, ასევე წინასაარჩევნო კამპანიის კანონის ფარგლებში ჩატარება. კერძოდ, ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, რომ ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი იმ დემოკრატიული პროცესების გამოძახილია, რომლებიც აფხაზეთში უნდა ჩატარდეს.

კანდიდატებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და საკუთარ შტაბებს მიაშურეს, რათა წინასაარჩევნო აგიტაციები დაეწყოთ. შეთანხმების ხელმოწერა დროული იყო, რადგან რუსულ მედიაში უკვე იბეჭდებოდა შეკვეთილი სტატიები, რომელიც რაულ ხაჯიმბას და ალექსანდრე ანქვაბს ტალახში სვრიდა. ჟურნალისტები თითქმის ასპროცენტური დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს სტატიები წინა ოდი-

ნოკოვას პოლიტექნოლოგების ჯგუფის ნამოქმედარია. ოდინოკოვა ეკონომიკური განვითარების პარტიის ლიდერის ბესლან ბუთბას თანამოაზრეა. რადგანაც ეს პარტია სერგეი შამბას მხარდამჭერია, გამოდის, რომ შავი პიარი, ყოველ შემთხვევაში წინა კვირამდე, სწორედ მის სასარგებლოდ მუშაობდა. ეს იოლი მისახვედრია, თუ ბოლო დროს ინტერნეტ-გამოცემებში გამოქვეყნებულ სტატიებს წაიკითხავთ. ერთ-ერთ სტატიაში შამბა დახასიათებულია როგორც ექსცენტრული პოლიტიკოსი, რომელიც მოსკოვში ერთ-ერთ ჩინოვნიკს ხელეობით სწვდა მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა აფხაზეთის სუვერენიტეტის შეზღუდვა შესთავაზა. აფხაზი აუდიტორიისთვის შამბასგან მეტრძოლი

პოლიტიკოსის იმიჯს ქმნიან. თუმცა, აქამდე იგი ცნობილი იყო როგორც მშვიდი და დიპლომატი პოლიტიკოსი, რომელიც ზედმეტ ყურადღებას აქცევდა შიდაპოლიტიკურ კონიუნქტურას.

ამჯერად საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღებით მიუდგნენ შეკვეთილი სტატიების საკითხს. დრო აჩვენებს, ქარტიის ხელმოწერით რამე შეიცვლება თუ არა. თუ ერთმანეთისთვის ტალახის სროლა კვლავაც გაგრძელდება, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ მინიმუმ ერთი გუნდი შეთანხმების პირობებს არღვევს.

გასულ კვირას სოხუმში გაიმართა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორებიც საზოგადოებას შამბას მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ. აგიტატორებს შორის ყველაზე ცნობილები მწერალი ბორის გურგულია, სომხური საზოგადოების ლიდერი ვალუსტ ტრაპიზონიანი და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. ერთი სიტყვით, მონაწილეებს შორის არცერთი მაღალი დონის

ცესებში მონაწილეობის მიღება, რადგან სოხუმელი შემოქმედები რუსულ იდეებს ისედაც წარმატებულად აკოპირებენ.

ამას გარდა, შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დააყენეს კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხი. ბოლო პერიოდში ამ იდეაზე აქტიურად საუბრობენ აფხაზეთში. პროპორციები იმის მიხედვით იქნება გადანაწილებული, თუ ხმების რა ნაწილს მიიღებენ კანდიდატები არჩევნებზე. ეს ელიტისთვის მომგებიანი სვლა იქნებოდა, რომელიც სხვადასხვა ჯგუფს ხელისუფლებისკენ გაუხსნიდა გზას. თუმცა თავად კანდიდატებმა არ დაუჭირეს მხარი ამ იდეას და ეს სრულებით გასაგებიცაა. კოალიციური მთავრობა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულს ხელფებს შეუკრავს.

სერგეი შამბას შტაბი უკვე სრული დატვირთვით ამუშავდა. აფხაზეთის მასშტაბით მოძრაობს აგიტატორების ჯგუფები. მზადება რაულ ხაჯიმბას გუნდშიც დაიწყეს, სადაც ტრადიციულად ბევრი

გამარჯვებაში, რომ წინასაარჩევნო კამპანიაზე დახარჯვას საჭიროდ არ მიიჩნევს.

ამასთან, სოხუმში ანქვების გამარჯვებასთან დაკავშირებით იმდენად უცნაური ატმოსფეროა შექმნილი, რომ ზოგიერთი მოქალაქე საჭიროდაც კი არ მიიჩნევს არჩევნებზე წასვლას.

„ჩემი აზრით, გამარჯვებულის ვინაობა ნათელია. თუ რამე არ მოხდა და მის წინააღმდეგ რაიმე კომპრომატები არ გამოაქვეყნეს, ანქვები გაიმარჯვებს. ამჯერად მას ძალიან ბევრი ისეთი ადამიანი უჭერს მხარს, რომლებიც ადრე მის მიმართ სიმპათიებით არ ყოფილან განწყობილნი,“ – ამბობს რადიო COMA-ს გადაცემების ავტორი დიმიტრი ბელი.

თუმცა კონკურენტების შტაბებში დარწმუნებულნი არიან, რომ გამარჯვების შანსი ყველას თანაბრად აქვს.

დამკვირვებლების შეფასებები იყოფა. სერგეი შამბას, სავარაუდოდ, რიგი რეგიონები, ინტელიგენცია და ნომენკლატურა დაუჭერს მხარს. გაურკვეველია

## ■ სოხუმში ანქვების გამარჯვებაში იმდენად დარწმუნებულნი არიან, რომ ზოგიერთი მოქალაქე საჭიროდაც კი არ მიიჩნევს არჩევნებზე წასვლას. საკუთარ რეიტინგში თავად პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელიც დარწმუნებულია.



პოლიტიკოსი არ ყოფილა. თუმცა, თავისი არაორიგინალურობის მიუხედავად, მანც ღირს შეხვედრის მონაწილეობის განცხადებისთვის ყურადღების მიქცევა. მაგალითად, ითქვა, რომ აუცილებელია ისეთი ალიანსის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა მთელ ერს „განურჩევლად ნაციონალური, რელიგიური, თუ პოლიტიკური შეხედულებებისა.“ დოჰუას აზრით, ამ გაერთიანებას „აფხაზი ერის კონგრესი“ უნდა ეწოდოს, ლიდერი კი სერგეი შამბა უნდა გახდეს. ეს ინიციატივა ძალიან ჰგავს რუსულ წინასაარჩევნო იდეებს. იქ ჰყავთ ერთი ლიდერი – ვლადიმირ პუტინი, რომელიც საერთოეროვნულ ფრონტს ქმნის. როგორც ჩანს, რუს ტექნოლოგებს სულაც არ სჭირდებათ აფხაზეთის პრო-

ადამიანი და იდეა ტრიალებს.

ამ ფონზე უცნაურად გამოიყურება ალექსანდრე ანქვაბი. ბოლო პერიოდში მან ერთადერთი ინტერვიუ მისცა რუსულ ჰოლდინგ P5K-ს. ჟურნალისტებისთვის ცნობილია, რომ ანქვაბი არ გეგმავს აქტიურ აგიტაციას და, შესაძლოა, სატელევიზიო დებატებში მონაწილეობაზეც უარი თქვას. მას ბევრი თანაგუნდელი არ ეთანხმება. მათი აზრით, მხოლოდ საკუთარ იმიჯზე დაყრდნობა არასწორია და აუცილებელია აგიტაცია, მით უმეტეს, რომ უკვე დიდი ხანია, მისი ხმა აღარ ისმის.

დამკვირვებლები არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი იმდენად დარწმუნებულია

ოპოზიციის შესაძლებლობები. სულ რაღაც ნახევარი წლის წინ სამმა ოპოზიციურმა კანდიდატმა ხმების 35 პროცენტი მიიღო. შეძლებს კი ხაჯიმბა ამჯერად ელექტორატის თავის ირგვლივ გაერთიანებას, თუ ეს ადამიანები ანქვაბს მინიჭებენ უპირატესობას? პასუხები ჯერ არ არსებობს. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

შეხვედრა უკრაინაში

# პატრიარქის დიალოგი

მოსკოვის საპატრიარქო საქართველოს ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს კი აღიარებს, მაგრამ კრემლის პოლიტიკისა და ინტერესების ერთგული რჩება.

## დმიტრი ლიტვინენკო, კიევი

უკრაინელმა ჟურნალისტებმა, რომლებიც კიევის აეროპორტში საქართველოს პატრიარქის დასახვედრად შეიკრიბნენ, ცოტა თუ იცოდნენ ილია მეორისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ.

ამიტომ, სანამ თვითმფრინავი ჯერ კიდევ ჰაერში იყო, სტუმრის დასახვედრად მოსულ კიეველ სასულიერო პირებს ბევრ კითხვას უსვამდნენ. ადრე საქართველოში ნამყოფმა რამდენიმე მამამ თხრობა დაიწყო. მათ საოცარი რამეები თქვეს. თურმე, ილია მეორის ავტორიტეტი საქართველოში თითქმის ასპროცენტია. მას ათი ათასი ნათლული ჰყოლია. იგი ჯვარდანერილი წყვილების მესამე და ყოველ მომდევნო შვილს ნათლავს და ამ გზით ქვეყანაში შობადობას ამალავს. „ის ერის სულიერი მამაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით,“ – მოუთხრობდნენ ჟურნალისტებს უკრაინელი სასულიერო პირები. კიდევ ამბობდნენ, რომ ილია მეორე პოლიტიკაში არ ერევა და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს პანაშვიდს კონფლიქტის ზონაში დაღუპულ რუსებს და ოსებსაც უხდოდა.

ილია მეორე კიევში ოთხდღიანი ვიზიტით რუსეთის პატრიარქის – კირილისა და მოსკოვის პატრიარქატს დაქვემდებარებული უკრაინელი სასულიერო პირების მიწვევით ჩავიდა, რათა 28 ივლისს რუსეთის მოქცევის აღსანიშნავ დღესასწაულში მიეღო მონაწილეობა.

როდესაც თვითმფრინავი, რომლითაც საქართველოს პატრიარქი მგზავრობდა, დიპლომატიურ ბილიკზე დაეშვა, ჟურნალისტებს უკვე ჰქონდათ

გარკვეული წარმოდგენა სტუმრის შესახებ.

თვითმფრინავიდან ხანშიშესული, ჭალარანვერიანი კაცი გადმოვიდა. ის 75 წლისაა. მას გვერდით შეესათვალეებიანი ახალგაზრდა მამაკაცები მოჰყვებოდნენ. ისინი არც დაცვას

**■ ჩანდა, რომ კირილთან შეხვედრა პატრიარქისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქართველოდან გამგზავრებამდე ილია მეორეს უთქვამს თავისი მრევლისთვის: „გთხოვთ, ილოცოთ, რომ კარგი შედეგებით დავბრუნდეთ“.**

ჰგავდნენ და არც სასულიერო პირებს. ჟურნალისტები განზე არავის გაუწევია და პატრიარქთან მიახლოების საშუალება ყველა მსურველს ჰქონდა. გაკეთდა მოკრძალებული განცხადება იმის შესახებ, რომ გადაღებისას კამერების განათების გამოყენება არასასურველია, რადგანაც პატრიარქს თვალები სტიკვა. იგი ხმადაბლა საუბრობდა. თქვა, რომ მოხარულია კიევში სტუმრობის და რუსეთის პატრიარქთან დაგეგმილი შეხვედრის გამო.

ჩანდა, რომ პატრიარქ კირილთან შეხვედრა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქართველოდან გა-

მგზავრებამდე ილია მეორეს თავისი მრევლისთვის უთქვამს: „გთხოვთ, ილოცოთ, რომ კარგი შედეგებით დავბრუნდეთ“.

ბორისპოლის აეროპორტში საქართველოს პატრიარქს უკრაინის მიტროპოლიტი ვლადიმირი, ხოლო ხელისუფლებიდან მხოლოდ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე დახვდა. უკრაინულ პრესაში შემდეგ დაინერა, რომ ჯობდა, უძველესი მართლმადიდებლური ტრადიციების მქონე მეგობარი ქვეყნის ეკლესიის წინამძღოლს მაღალი თანამდებობის პირები დახვედროდნენ. მით უფრო, რომ რუსეთის პატრიარქს კირილს აეროპორტში ბევრად მაღალი რანგის ჩინოვნიკი – უკრაინის ვიცე-პრემიერი სერგეი ტიგაპკო შეეგება.

აეროპორტიდან სტუმრები კიევ-პეჩერსკის ლავრაში გაემართნენ, მშვიდობის პარაკლისის აღსავეუნად. ის ერთად ჩაატარეს საქართველოს პატრიარქმა და კიევის მიტროპოლიტმა.

მომდევნო დღეა ლავრაში ჭეშმარიტად ქართულ დილადა იქცა. ცხრა საათიდან ლავრასთან ქართული დიასპორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კიდევ ასამდე ადამიანი, რომლებიც პატრიარქს საქართველოდან ჩამოყვანენ. პატრიარქმა უკრაინისა და საქართველოს სულიერი კავშირისადმი მიძღვნილი გამოფენა გახსნა, თან ქართული გალობა ისმოდა. მომლოცველთა ნაწილი ამბობდა, რომ ქართველი მგალობლების მოსასმენად იყო მოსული.

საქართველოს პატრიარქის გამოგზები არ გადაუტყვევებ, არც მეტალო-



საქართველოს პატრიარქი ილია II და რუსეთის პატრიარქი კირილი, ივლისი, კიევი 2011

დეტექტორები აღუმართავთ ლავრის შესასვლელთან. მიუხედავად ასაკისა, ლავრაში ის ფეხით, დაცვის გარეშე შებრძანდა. უკრაინელი ჟურნალისტებისთვის, რომლებიც რუსეთის პატრიარქის კიევში ვიზიტებს აშუქებენ, ამგვარი თავმდაბლობა უჩვეულოა. კირილის სტუმრობის დროს, დაცვის უპრეცედენტო ზომების გამო, თითქმის მთელი ქალაქი პარალიზებულია, ისე, როგორც პრემიერ პუტინის ვიზიტების დროს ხდება. ქართველებმა, რომლებიც ლავრასთან თავიანთ პატრიარქს ელოდნენ, ახსნეს, რომ ადამიანს, რომელიც ყველას უყვარს,

დაცვა არ სჭირდება.

სანამ ილია მეორე გამოფენას ხსნიდა, კიევში კიდევ ერთი მაღალი რანგის სასულიერო პირი – რუსეთის პატრიარქი კირილი ჩამობრძანდა. კირილი კიევში მოსკოვიდან როდი ჩამოვიდა. ის ყირიმში ბრძანდებოდა, უკრაინის პრეზიდენტს, ვიქტორ იანუკოვიჩს სტუმრობდა. იანუკოვიჩთან მას საკმაოდ ახლო ურთიერთობა აქვს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პრეს-სამსახურმა აეროპორტში შეკრებილი ჟურნალისტები წინასწარ გააფრთხილა: პატრიარქი თავად ისაუბრებს, კითხვების დასმა არ შეიძლება.

კირილემ განაცხადა, რომ მისი სტუმრობის ერთადერთი მიზანი ხალხთან ერთად ლოცვაა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკრაინაში რუსეთის ელჩთან ჩურჩულზე გადავიდა.

რუსეთის პატრიარქი კირილი უკვე მეხუთედ ჩადის უკრაინის დედაქალაქში და მის ყოველ ვიზიტს თან ახლავს უკრაინელი ნაციონალისტების პროტესტი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კირილის ვიზიტებს წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს.

ამჯერადაც ასე იყო. რუსეთის საელჩოსთან „უკრაინელი ნაციონალისტების კონგრესი“ და მათი

მხარდამჭერები შეიკრიბნენ. ისინი სკანდირებდნენ – „ძირს მოსკოველი მღვდელი!“ და უკრაინის დროშასთან ერთად მიტინგზე საქართველოს სახელმწიფო დროშასაც აფრიალებდნენ. „ილია პატრიარქია, კირილი – ოლიგარქი“ – ეწერა ერთ-ერთ ტრანსფარანტზე.

უკრაინის მართლმადიდებლური სამყარო დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი. უკრაინის მიტროპოლიტი ვლადიმირი იმ ჯგუფის წინამძღოლია, რომელიც რუსეთის პატრიარქს ემორჩილება და რომელსაც მოსკოვის პატრიარქატი მართავს. პარალელურად არსებობს მეორე – დამოუკიდებელი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც 1992 წლიდან ცდილობს ავტოკეფალიის მოპოვებას, მაგრამ დღემდე არ არის აღიარებული მსოფლიოს არცერთი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი ფილარეტია, რომელიც უკრაინული ეკლესიის რუსული პატრიარქატიდან გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი იყო, რის გამოც ის ეკლესიისგან მოკვეთეს.

პრეზიდენტ იუშჩენკოს დროს კიევის დამოუკიდებელი საპატრიარქო მომძღვარდა. უკრაინას მიეცა ეროვნული ადგილობრივი ეკლესიის არსებობის იმედი. მას შემდეგ კი, რაც მთავრობაში პრეზიდენტი იანუკოვიჩი მოვიდა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მოსკოვის პატრიარქი სტუმრად ჩადის პრეზიდენტის აგარაკზე ყირიმში, ხოლო კირილთან დაახლოებული მღვდლები კიევის პატრიარქს ტაძრებს ართმევენ. პატრიარქ ფილარეტის მიერ მონათლულ ადამიანებს ხელახლა ნათლისღებას აიძულებენ.

„ჩვენს პატრიარქი ფილარეტია,“ – აცხადებდნენ აქციაზე შეკრებილები. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ რუსეთის პატრიარქის კირილის განცხადებებს და ამბობდნენ, რომ კიევში მისი ხშირი ვიზიტები შემთხვევითი არ არის.

კიევში ჩამოსვლამდე კირილმა კიდევ ერთხელ თქვა ის, რაც ყველაზე მეტად

აღიზიანებთ უკრაინაში. მოსკოვის პატრიარქს „რუსული სამყაროს“ შესახებ ლაპარაკი უყვარს. მისი თეორია ბევრ უკრაინელს შეურაცხყოფს.

კიევში გამომგზავრებამდე მან რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის მორწმუნეებს მიმართა: „დღეს ძველი რუსეთის შთამომავლები სხვადასხვა სახელმწიფოებში ცხოვრობენ, მაგრამ ჩვენი ძალა ძველ რუსეთში და მის სინმინდემია, რომელიც ჩვენს გულეში და გონებაში ცოცხლობს. ეს არ არის წარსულის ნოსტალგია, ეს ის სულიერი გენეტიკური კოდია, რომელსაც ჩვენ დედის რძესთან ერთად ვითვისებთ, ის სულიერი ფასეულობების სისტემაა, რომელიც ძველი, წმინდა რუსეთის მემკვიდრეებს გვაერთიანებს.“

**■ მომიტინგეები სკანდირებდნენ – „ძირს მოსკოველი მღვდელი!“ და უკრაინის დროშასთან ერთად მიტინგზე საქართველოს სახელმწიფო დროშასაც აფრიალებდნენ. „ილია პატრიარქია, კირილი – ოლიგარქი“ – ეწერა ერთ-ერთ ტრანსფარანტზე.**

„რუსული სამყაროს“ აღორძინების იდეა კირილმა 2009 წელს პატრიარქად აღსაყდრებისთანავე გამოაცხადა. მან მოუწოდა უკრაინას, ბელარუსს და მოლდოვას გააღრმავონ კავშირები საზოგადოებებსა და ელიტებს შორის და საერთაშორისო არენაზეც ერთად იმოქმედონ. კირილე ამტკიცებს, რომ ამ ქვეყნებს საერთო კულტურული ტრადიცია გააჩნიათ და მათი გაგება, გარდა ერთმანეთისა, არავის ძალუძს. სწორედ ამიტომ უნდა იყოს „რუსული სამყარო“ ერთიანი და განუყოფელი.

„ე.წ. პატრიარქი კირილ გუნდიაე-

ვი ყოფილი „კავებშინიკა“. რუსეთის მოქალაქე გუნდიაევი აშკარად სცდება ეკლესიის ჩარჩოებს. მისი განცხადებები „რუსულ სამყაროზე“ აშკარად პოლიტიკური განცხადებებია. მას უნდა უკრაინის ხარჯზე მსოფლიოში მთავარ მართლმადიდებელ ეკლესიად იქცეს. რუსებსა და უკრაინელებს შორის მენტალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე უზარმაზარი უფსკრულია, რომლის გადალახვა შეუძლებელია. „რუსული სამყაროს“ იდეა უცხო და მტრულია უკრაინელებისთვის,“ – განაცხადა „უკრაინელ ნაციონალისტთა კონგრესის“ ხელმძღვანელმა ვლადიმირ მანკომ.

კიევის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა იგორ მაზურმა, რომელსაც რუსეთის საელჩოს წინ მიტინგზე საქართველოს დროშა ეჭირა, თქვა:

„ჩვენ მოვიტანეთ საქართველოს დროშა, რადგან მივესალმებით უკრაინაში საქართველოს პატრიარქის ვიზიტს. ილია მეორეს არ მოაქვს ჩვენთვის „ქართული სამყაროს“ ან „კავკასიური სამყაროს“ შექმნის იდეები, ის უბრალოდ ჩამოვიდა, რომ ილოცოს, როგორც მეგობარმა. ჩვენ მეგობრებს დიდ პატივს ვცემთ“.

სალამოა. ლავრასთან სამართალდამცავთა ჯაჭვი ჩამოდგა. მიტროპოლიტის რეზიდენციაში ამ დღეების ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა უნდა დაინდოს. საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები ერთმანეთს შეხვედებიან. იწყება ქართულ-რუსული მოლაპარაკება. პრესას მხოლოდ 5 წუთით უშვებენ, შემდეგ დარბაზის დატოვებას სთხოვენ. ეს შეხვედრა უშუალოდ უკრაინას არ ეხება, მაგრამ უკრაინელი ჟურნალისტების მხრიდან ინტერესი დიდია, რადგან ერთმანეთს სამი წლის წინ ომში ჩართული ორი ქვეყნის ეკლესიის წინამძღოლი უნდა ელაპარაკოს.

დღეუგაციების წევრები არაოფიციალურად აღიარებენ, რომ მოლაპარაკების თემას აფხაზეთი და მისი ეკლესია წარმოადგენს. ქართველებს სურთ, რომ აფხაზეთის ეკლესია თბი-



ლის დაექვემდებაროს. 1993 წლიდან აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოსკოვის საპატრიარქოს მაიკოპის ეპარქიას ექვემდებარება.

ერთადერთი, რაც ამ შეხვედრის შედეგზე ვიცით, ის არის, რომ პატრიარქი კირილი აღიარებს საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში: „სრულიად ნათელია, რომ საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ვრცელდება, თუმცა მეორე მხრივ, დღეს არსებობს გარკვეული კანონიკური უნესრიგობა – ეს ეხება ორივე ადგილს“

სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, კირილთან შეხვედრის დროს ილია მეორემ აფხაზეთში, ახალი ათონის მონასტერში ერთობლივი ვიზიტის საკითხი დააყენა. ეს წინადადება რთულ მდგომარეობაში აყენებს მოსკოვის საპატრიარქოს, რომელიც საქართველოს ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს კი აღიარებს, მაგრამ მეორე მხრივ, კრემლის პოლიტიკისა და ინტერესების ერთგული რჩება. აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ უკვე განაცხადა, რომ „არ გაცემს ვიზას საქართველოს პატრიარქისთვის“.

რუსეთის საპატრიარქომ კრემლისგან განსხვავებით, არ აღიარა ადგილობრივი ეკლესიების დამოუკიდებლობა, რადგან ეს თავად რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სიმშვიდეს დაარღვევდა. „მოსკოვის საპატრიარქოსთვის მნიშვნელოვანია ქართულ ეკლესიასთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნება, რადგან იგი მისი საიმედო მოკავშირეა უკრაინაში „რასკოლნიკებთან“ ბრძოლისას. თუ მოსკოვის საპატრიარქო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას აღიარებს, საქართველო საპასუხოდ უკრაინის დამოუკიდებელ ეკლესიას აღიარებს, რაც დიდი კატასტროფა იქნება რუსული ეკლესიისთვის. ის დაკარგავს გავლენას რეგიონში, ეს კი კონსტანტინოპოლის გავლენას გაზრდის“ – მიიჩნევს რომან ლუკინი რელიგიისა და სამარ-

თლის ინსტიტუტის დირექტორი.

„მე მადლობას ვუხდით უწმინდეს პატრიარქ კირილს, რადგან მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ნამდვილად კარგი დასაწყისია. მჯერა, რომ გაგრძელებაც კარგი იქნება და ურთიერთგაგებით მოვაგვარებთ პრობლემებს. დიდი მადლობა გულთბილი მიღებისთვის, თქვენო უწმინდესობავ!“ – მიმართა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქს კიევში გამართული შეხვედრის დასრულებისას.

მართალია, კირილს არასოდეს უთქვამს, რომ „რუსული სამყაროს“ ნაწილად საქართველოსაც ხედავს,

■ **მორწმუნეებს ფარებს შორის ნაპრალებში ატარებდნენ, ხოლო იმ სექტორში, სადაც პატრიარქი კირილი იყო, ხალხს მხოლოდ რუსეთის ფედერალურ დაცვის სამსახურთან შეთანხმებული სიების მიხედვით უშვებდნენ.**

მაგრამ კიევში გაკეთებული განცხადებები მონიშნავს, რომ კავკასიის ამ ქვეყანაში რუსული საპატრიარქოს გავლენის გაძლიერება მოსკოვის საპატრიარქისთვის არანაკლებ პრიორიტეტულია. ქართული ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მის ამ სიტყვებშიც იკითხება, რომელიც კირილმა ბორისპოლის აეროპორტში წარმოთქვა: „აღბათ, არცერთ სხვა მართლმადიდებელ ეკლესიასთან არ გვაქვს ჩვენ ისეთი ინტენსიური გაცვლა დელეგაციებისა, თანამონაწილეობა დღესასწაულებში, ასეთი აქტიური მოლაპარაკებები, როგორც

— ქართულ ეკლესიასთან“.

მომდევნო დილას დედაქალაქის ცენტრის მცხოვრებლებს და ტურისტებს ალბათ ეგონათ, რომ ომი დაიწყო. გზები გადაკეტეს ლითონის ფარებით, რომელთა მიღმა სამხრეებიანი ადამიანების მასა განლაგდა. სამხედროებმა ახსნეს, რომ ყველაფერი სავდრეხელი ლოცვის უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით კეთდება. ვლადიმირის მალლობზე მოსკოვისა და საქართველოს პატრიარქების მონაწილეობით აღინიშნებოდა რუსეთის მართლმადიდებლობაზე მოქცევის დღე. მორწმუნეებს ფარებს შორის ნაპრალებში ატარებდნენ, ხოლო იმ სექტორში, სადაც პატრიარქი კირილი იყო, ხალხს მხოლოდ რუსეთის ფედერალურ დაცვის სამსახურთან შეთანხმებული სიების მიხედვით უშვებდნენ.

კიევის მიტროპოლიის წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ თავადაც არ ესმით, რისთვისაა საჭირო უსაფრთხოების ასეთი ზომები. ეს მოსკოვის მხარის მოთხოვნა იყო. ტაძარში უკრაინის მიტროპოლიტი ვლადიმირი, საქართველოს პატრიარქი და რუსეთის პატრიარქი წირვას ორ ენაზე აღავლენენ: ქართულად და რუსულად.

მათ, კი, ვისაც მშობლიურ – უკრაინულ ენაზე სურდა მსახურების მოსმენა, კიევის ერთ-ერთ სხვა ეკლესიაში უნდა მისულიყო. აქ რუსეთის მოქცევას უკრაინის დამოუკიდებელი მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავდა. ხოლო მაშინ, როცა საქართველოს პატრიარქი რუსეთის პატრიარქთან ერთად ღვთისმსახურებას აღავლენდა, 20 ათასამდე ადამიანმა კიევის ქუჩებში უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის პატრიარქთან ფილარეტთან ერთად მსვლელობა მოაწყო. ამ მსვლელობის მონაწილეები ამბობდნენ, რომ მოხარული იქნებოდნენ, თუ საქართველოს პატრიარქი მათ შეუერთდებოდა. თუმცა, იმასაც დასძინდნენ, რომ ილია მეორე კირილთან აფხაზეთის გამო მოლაპარაკებზეა ჩამოსული და რუსეთის პატრიარქის განრისხების უფლება არ აქვს. **■**

საკაბელო მაუწყებლობა

# GMG-ის ექსპანზიის

საკაბელო ოპერატორის, „ჯი.ენ.ენ.“-ის დაჯარიმებით კომუნიკაციების ეროვნული კომისია უკვე მეორედ ცდილობს ფავორიტი კომპანიის, GMG-ის უფლებების დაცვას სამართლიანი გადანყვეტილების მოტივით. საკაბელო ტელევიზიების მფლობელები აცხადებენ, რომ ახლა კიდევ უფრო გამოიკვეთა ის სასათბურე პირობები, რითაც GMG სარგებლობს.

## მანანა ვარლაშვილი

ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებიც მთაწმინდის, ნაძალადევის, ვარკეთილის და საბურთალოს რაიონებში ცხოვრობენ, არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატს, მთელი ივნისის განმავლობაში, საკაბელო ოპერატორის „ჯი.ენ.ენ.“-ის ეთერით ადვენდენენ თვალს. კომპანია თბილისელთა ნაწილმა ერთი წლის წინ უწყვეტი 56-არხიანი მომსახურებისა და დაბალი ტარიფის გამო აირჩია. 4 სპორტული არხის რეტრანსლირების შედეგად კომპანია სპორტის მოყვარულებს მანამდეც ხშირად უჩვენებდა მნიშვნელოვან მატჩებსა და სპორტულ ღონისძიებებს. „ჯი.ენ.ენ.“-ის ერთწლიანი მუშაობის პერიოდში მისი საქმიანობის ლეგალურობაში ეჭვი არცერთ შესაბამის უწყებას არ შეუტანია.

თუმცა, 1 ივლისს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ამ საკაბელო ოპერატორს, ჯარიმის სახით, 9 ათას 29 ლარისა და 36 თეთრის გადახდა დააკისრა. კომისიის ოფიციალური განმარტებით, სანქციის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ „ჯი.ენ.ენ.“-ი, ტელეარხ „ფუტბოლის“ მეშვეობით, არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატს „ყოველგვარი უფლების“ გარეშე აჩვენებდა. მაშინ, როცა არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის საქართველოში ჩვენების ექსკლუზიური უფლება კომპანია „GMG“-ის („გლობალ მედია ჯგუფს“) აქვს მოპოვებული, „ჯი.ენ.ენ.“-მა კი „ფუტბოლის“ მიერ გადაცემული მატჩების თბილისში ტრანსლირებით, სწორედ „GMG“-ის „ექსკლუზიური უფლება“ შელახა.

მას შემდეგ, რაც სატელევიზიო ბაზარზე ჯერ კიდევ ეთერში გასვლამდე ფართოდ რეკლამირებული GMG გამოჩნდა, საკაბე-



ლო ბაზარი განსაკუთრებული რეგულაციების საგანი გახდა.

კომისიაში განმარტავენ, რომ GMG-ის ამ მატჩების ჩვენების აბსოლუტურად ყველა უფლება აქვს მოპოვებული, დამადასტურებელი დოკუმენტაცია კი – კომისიაში წარდგენილი.

თუმცა, იმავეს ამტკიცებს საკაბელო ოპერატორი „ჯი.ენ.ენ.“-იც. მათი ოფიციალური საბუთების მიხედვით, სამაუწყებლო არხ „ფუტბოლის“ რეტრანსლირების შესახებ ხელშეკრულება სს „ჯი.ენ.ენ.“-სა და კომპანია „Медиа ТВ“-ს შორის 2011 წლის 1 აპრილსაა გაფორმებული. ხელშეკრულების დამადასტურებელი საბუთები წარდგენილია კომისიაშიც. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ „ჯი.ენ.ენ.“-ი ვალდებული იყო, საავტორო და მომიჯნავე უფლებები დაეცვა და არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატი საკუთარ საკაბელო ქსელში არ გაეშვა.

„ჯი.ენ.ენ.“-ი სანქციის გადახდას არ აპირებს და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილებას, მოქმედი კა-

ნონმდებლობის მიხედვით, ჯერ კომისიაში ასაჩივრებს.

„კომისიაში გვითხრეს, რომ GMG-ის, სხვა სპორტულ მატჩებთან და ტურნირებთან ერთად, არგენტინის საფეხბურთო ჩემპიონატის ჩვენებაზეც ექსკლუზიური უფლება აქვს. ამ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები ჩვენ არ გვინახავს. უფრო მეტიც, იმ პირებისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭება, ვინც ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით უზრუნველყოფს მოსახლეობას, ეწინააღმდეგება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონს. ერთი რომელიმე არხისთვის მთელი ჩემპიონატის ჩვენებაზე ექსკლუზიური უფლების გაცემას უფვა და ფიფა-ც კრძალავს, რადგან ეს სპორტული ღონისძიებების ჩვენების უფლების გადაყიდვას იწვევს, რის გამოც მომხმარებელი ზარალდება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სანქცია არამართებულად დაგვაკისრეს“, – ამბობს „ჯი.ენ.ენ.“-ის დირექტორი, მირიან კიკნაძე.

მართლაც, „ელექტრონული კომუნიკა-

ციების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლში მითითებულია, რომ ავტორიზებული პირებისთვის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მინიჭება და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით საქმიანობისას ექსკლუზიური ხელშეკრულებების დადება დაუშვებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი GMG-ის აქვს მაგალითად, არგენტინის ჩემპიონატის ტრანსლირების უფლება, იმავე უფლების მოპოვება, ყოველგვარი კანონდარღვევისა და ჯარიმის გარეშე, სხვა საკაბელო ოპერატორსაც შეუძლია.

თუმცა, კანონის ამ მუხლისა და რეალობის შეუთავსებლობაზე კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომენტარს არ აკეთებენ. კომისიის წარმომადგენლები მხოლოდ იმას ამბობენ, რომ კანონის განმარტების უფლება არა აქვთ.

პარალელურად, GMG-ი ათზე მეტი მნიშვნელოვანი სატელევიზიო ჩვენების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს და კომისიისგან საკუთარი უფლების დაცვას მოითხოვს. მის „ექსკლუზივებს“ შორისაა: ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის თამაშების (NBA), ჩოგბურთის პროფესიონალთა ასოციაციის მსოფლიო ტურნირების (ATP), რაგბიში ევროპის ექვსთა ერის ტურნირის, რაგბიში საფრანგეთის ეროვნული ჩემ-

პიონატის, კალათბურთში ევროპის ლიგის თამაშების, ფეხბურთში არგენტინის ეროვნული ჩემპიონატის, ინგლისის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Premier League), იტალიის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Seria A), ესპანეთის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Primera Division), გერმანიის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Bundesliga), შოლანდიის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Eredivisie) და საფრანგეთის ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის (Ligue 1) სატელევიზიო ტრანსლაციის უფლება.

საკაბელო ბაზარზე GMG-ის შემოსვლის შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აკრძალვა განხორციელდა. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2011 წლის 10 ივნისის განკარგულებით საქართველოში მოქმედ ყველა საკაბელო ოპერატორს, რომელთა რაოდენობა 90-მდეა, რუსული არხების - „HTB+ премоера“-ს, „HTB+ кино клуб“-ის და „HTB+ кино хит“-ის რეტრანსლირების შეწყვეტა მოსთხოვა.

განკარგულების საფუძველი გახდა საკაბელო კომპანია შპს „სუპერ ტვ“-ის განცხადება. შპს „სუპერ ტვ“ კონკურენტებს რუსული არხების არამართლზომიერ ტრანზიტში ადანაშაულებდა. ყველაზე უცნაუ-

რი ისაა, რომ თავად მომჩივანი კომპანია HTB+-ის არხების რეტრანსლირებას არ ახდენს. საკაბელოები კი ამ აკრძალვაში მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხედავენ: საკაბელო ოპერატორების მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, „HTB“-ს არხები საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მის ალტერნატივად კი ქართული კომპანია „გლობალ მედია ჯგუფი“ (GMG) განიხილება, რომელიც პროვადერებს 6 არხს - GMG ფეხბურთს, GMG სპორტს, GMG სერიალს, GMG კინოგურმანს, GMG ჰოლივუდს და GMG საბავშვოს სთავაზობს. სწორედ GMG-ის მაუწყებლობის დაწყებისა და „სუპერ ტვ“-ის განცხადების შემდეგ გადაწყვიტა კომისიამ, რომ „HTB“-ს არხების ტრანსლირებას ქართული საკაბელოები „არამართლზომიერი ტრანზიტით“ ახორციელებდნენ.

„ჯი.ენ.ენ.“-ის დაჯარიმებით კომუნიკაციების ეროვნული კომისია უკვე მეორედ ცდილობს GMG-ის უფლებების დაცვას სამართლიანი გადანაცვტილების მოტივით. საკაბელო ტელევიზიებში კი აცხადებენ, რომ „ჯი.ენ.ენ.“-ის შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა ის სასათბურე პირობები, რითაც ახლად შექმნილი კომპანია ქართულ ტელებაზარზე სარგებლობს. [

GMG-ის მემორიალი

GMG 2010 წლის 27 ივლისს „რუსთავი 2“-ის გადაცემა „ვის უნდა 20 ათასი“ წამყვანმა მამუკა გამყრელიძემ დააფუძნა. გამყრელიძე თავდაპირველად GMG-ის 100 პროცენტის ნილის მფლობელი იყო. 2010 წლის 17 აგვისტოდან კი კომპანიის 15 პროცენტის ნილი 2009 წელს დაფუძნებულმა შპს-მ „მედია საკონსულტაციო ჯგუფმა“ შეიძინა. „მედია საკონსულტაციო ჯგუფს“ დირექტორი „საზოგადოებრივი მასშვების“ ყოფილი ხელმძღვანელი ლევან ყუბანიშვილია, მისი დამფუძნებელი და 100 პროცენტის ნილის მფლობელი კი - გიორგი კოლუაშვილი.

დაარსებიდან ერთი წლის თავზე „მედია საკონსულტაციო ჯგუფს“ შპს „ჯი ელ ტვ“ შეერწყა. „ჯი ელ ტვ“-ის მფლობელები „საზოგადოებრივი მასშვების“ ყოფილი დირექტორი, ზაზა შენგელია (30 პროცენტის ნილით) და „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი დირექტორი, გიორგი გეგეშიძე (70 პროცენტის ნილით) არიან. საგულისხმოა, რომ გეგეშიძე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის ბიზნესპარტნიორიცაა შპს „მაგი სტილი“. 1996 წელს დაარსებულ „მაგი სტილი“, რომელიც ბოლო დროს მსხვილ სახელმწიფო სამშენებლო დაკვეთებსაც ასრულებს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორის

მსგავსად, ირაკლი ჩიქოვანი 33.33 პროცენტს ფლობს. „მასშვების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს მაშინ, თუ მას „იმავედროულად აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც კომისიის რეგულირების სფეროს განეკუთვნება“. გამომდინარე იქიდან, რომ ირაკლი ჩიქოვანის ბიზნეს-პარტნიორი გიორგი გეგეშიძე „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორია, ტელეკომპანია „რუსთავი 2“ კი კომისიის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება, ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა.

მიუხედავად ამისა, ეს ფაქტი კომუნიკაციების ეროვნული კომისიის განხილვის საგანი არასდროს გამხდარა. 2011 წლის 4 მარტს GMG-ის სამენარეო სარეგისტრაციო მონაცემებში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა და კომპანიის 15 პროცენტის ნილი, რომელიც „მედია საკონსულტაციო ჯგუფს“ ეკუთვნოდა, კომპანია „ახალმა მედია ჯგუფმა“ გადაიფორმა. თუმცა, ამით რეალურად არაფერი შეცვლილა - GMG-ის ნილის გადაფორმებამდე ორი კვირით ადრე დაფუძნებული „ახალი მედია ჯგუფის“ დირექტორი და 100-პროცენტის ნილის მფლობელი ისევ ლევან ყუბანიშვილია.



საბანკო სესხები

## დაფიქსიდი, სანამ თავდაზღვრად დადებები

ერთი გაუცნობიერებელი ხელმოწერის გამო მოქალაქეებს ხშირად უწევთ სხვისი სესხის საკუთარი ხელფასით ან უძრავი ქონებით გადახდა.

### ნინო ნატროშვილი

„რატომ უნდა გაიყიდოს ჩემი სახლი? მე იმ თანხიდან თეთრიც არ ამიღია, ვინც მოიხმარა, იმას მიაკითხეთ!“ – აკაკი გაოგნებული იყო, როდესაც მასთან აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები მივიდნენ და უთხრეს, რომ მისი ბინა ბანკს უნდა გაეყიდა.

ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ

ბანკიდან გამოტანილი ფული თვალისათვის არ უნახავს, უბრალოდ დაეხმარა ბიძაშვილს, რომელმაც სთხოვა სესხის გამოტანისას „რალაც ხელშეკრულებაზე“ მოეწერა ხელი, წარმოდგენა არ ჰქონდა თავდებში ჩადგომა რას ნიშნავდა. ეს დეტალები ბანკისთვის უინტერესო აღმოჩნდა, აკაკი საკუთარი ხელ-

მოწერის საფუძველზე უბინაოდ დარჩა და იძულებული გახდა საცხოვრებლად ქირით გადასულიყო, სახლიც დაკარგა და ბიძაშვილიც.

„მე და გიორგი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, ახლო ურთიერთობა გვქონდა... შარშან ზაფხულში დამირეკა, ბიზნესის დაწყებას ვაპირებ, სესხის გა-



მოტანა მიიწია, ჩემს გარდა კიდევ ვინმემ უნდა მოანეროს ხელი და ბანკში წა-  
მომყევიო. ხელფასი ბანკში მერიცხებო-  
და, ანგარიშიც მქონდა გახსნილი, არა-  
ნაირი დარღვევა არ მქონია, მოკლედ,  
ბანკისთვის სანდო ადამიანი აღმოვჩნდი.  
უცბად მოვანერე ქალაქებს ხელი და  
გიორგიმაც 5 ათასი დოლარი გამოიტა-  
ნა“, – იხსენებს აკაკი.

ბოლო 2 წელია თავდებობა და სო-  
ლიდარული თავდებობა საქართველო-  
ში ერთ-ერთ პრობლემურ თემად იქცა.  
ხშირად ხდება, როდესაც ადამიანებს  
ერთი გაუცნობიერებელი ხელმოწერის  
გამო ნათესავების, თანამშრომლების,  
მეგობრების, ზოგჯერ აბსოლუტურად  
უცნობი პირების სესხის დაფარვა საკუ-  
თარი ხელფასით ან უძრავი ქონებით  
უწევთ.

მატერიალურად არაუზრუნველყოფი-  
ლი სესხის გაცემის დროს ბანკები თავს

ძირითადად თავდებობით ან სოლიდა-  
რული თავდებობით იზღვევენ. თავდე-  
ბობის ხელშეკრულების გაფორმებისას,  
თუ მოვალე თანხას ვერ იხდის, პირ-  
ველ რიგში მისი უძრავი თუ მოძრავი  
ქონების გაყიდვის საკითხი დგება და  
მხოლოდ ამ ქონების არარსებობის შე-  
მთხვევაში ითხოვს იგი სესხს თავდე-  
ბში მდგომისგან. თუმცა საქართველოში  
ბანკები ძირითადად არა თავდებობის,  
არამედ სოლიდარული თავდებობის  
ხელშეკრულებებს აფორმებენ. საქმე  
ისაა, რომ სოლიდარული თავდებო-  
ბის ხელშეკრულებით მათ საშუალება  
ეძლევათ, მთლიან თანხაზე სრულიად  
თანაბარი პასუხისმგებლობა, როგორც  
ძირითად მოვალეს, ისე თავდებს და-  
აკისრონ. უფრო მეტიც, შეუძლიათ პირ-  
დაპირ მოსთხოვონ სესხის დაფარვა მას,  
ვინც თავდებში ჩადგა, თანაც ისე, რომ  
ძირითადი მოვალის ქონებით საერთოდ

არ დაინტერესდნენ.

სოლიდარული თავდებობის ხელ-  
შეკრულების გაფორმების დროს ძირი-  
თადი მსესხებელიც და თავდებიც ბანკის  
მიმართ ერთნაირ ვალდებულებას კის-  
რულობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ  
ვერ გადაიხდის მოვალე, კრედიტორი  
პირდაპირ თავდებს მოსთხოვს თანხას,  
მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა რაიმე  
ქონება მას, ვინც ეს თანხა მოიხმარა.

კანონმდებლობით, თუ მოვალე ვალ-  
დებულებას არ ასრულებს, კრედიტორი  
უფლებამოსილია მიმართოს სასამარ-  
თლოს და მოითხოვოს თანხის იძულებ-  
ითი ამოღება, სააღსრულებლო ფურ-  
ცელში კი მოვალედ დასახელებულია  
თავდები და ვალის გადახდა მთლიანად  
მას ეკისრება. სასამართლოზე თავდე-  
ბისთვის თითქმის შეუძლებელია იმის  
დამტკიცება, რომ საკუთარი პასუხისმ-  
გებლობა შეგნებული არ ჰქონდა.

„სასამართლოს შემდეგ საქმე ჩვენ  
გადმოგვეცემა. აღმასრულებელს კი  
კანონი ავალდებულებს, რომ თანხა იმ  
ადამიანისგან ამოიღოს, რომლისგანაც  
კრედიტორი უფრო სწრაფად დაკმაყო-  
ფილდება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნე-  
ლობა არ აქვს ვინ მოიხმარა თანხა, ვინ  
იყო ძირითადი მსესხებელი და ვინ თავ-  
დები“, – განმარტავს აღსრულების ერო-  
ვნული ბიუროს აღმასრულებელი იაგო  
ქეშელაშვილი.

სწორედ ასე მოხდა აკაკის და გიორ-  
გის შემთხვევაშიც: გიორგის ბიზნეს წა-  
მონყება კრახით დასრულდა. მან ვერც  
ყოველთვიური პროცენტი გადაიხადა და  
ვერც ბანკის მიერ მიცემული გრაფიკი  
შეასრულა. თანხას ჯარიმები დაემატა  
და 8 ათას დოლარამდე გაიზარდა. ამის  
შესახებ აკაკიმ არაფერი იცოდა. საბო-  
ლოდ კრედიტორმა სასამართლოს მი-  
მართა და სესხის იძულებით დაბრუნე-  
ბა მოითხოვა. პროცესზე აკაკისთან და  
გიორგისთან გაფორმებული ხელშეკრუ-  
ლებები ნამდვილად ცნეს, ორივე მხარეს  
ხელი კანონის დაცვით ჰქონდა მოწერი-  
ლი, ამიტომ სასამართლომ გადაწყვიტა  
სოლიდარული თავდებობის პირობის შე-  
საბამისად, 8 ათასი დოლარის გადახდა  
ორივეს დაეკისრებოდა. გიორგის არც  
უძრავი ქონება აღმოაჩნდა, არც ავტო-



## სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ  
 ჟურნალი „ლიბერალი“  
 თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა  
 მხოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
 გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“  
 და მიიღეთ თქვენი ჟურნალი  
 ყოველ ორშაბათს  
 თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად  
 დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
**(599) 48 62 41**  
 ან მოგვანოდეთ თქვენი  
 საკონტაქტო ინფორმაცია  
 ელ-ფოსტით: [subscribe@liberali.ge](mailto:subscribe@liberali.ge)

მანქანა, არც საბანკო ანგარიში და არც ხელფასი ერიცხებოდა. აკაკის კი სახლი ჰქონდა. ბანკმა ვალი სწორედ მისი სახლის გაყიდვით დაიბრუნა.

ამჟამად აღსრულების ეროვნულ ბიუროში სამოქალაქო სესხებთან დაკავშირებით დაახლოებით 3000-მდე საქმეა, აქედან 90% სოლიდარულ თავდებობას ეხება და 60%-ის შემთხვევაში სესხს სწორედ თავდებში მყოფი ადამიანები ფარავენ.

პრობლემის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ თავდებობის სავარაუდო რისკებს არ აცნობიერებენ და ზოგჯერ თავდებში პრაქტიკულად უცნობ ადამიანებსაც კი უდგებიან. „მოდი რა, გეხვეწები, ხელი უცბად მომიწერე“, – ასე იწყება ძირითადად ყველაფერი. მერე კი, როცა აღმოჩნდება, რომ ხელფასი უნდა დაუკავო, ქონება უნდა გაუყიდო, ვერ ხვდებიან, რა ხდება. არადა, ბანკმა ფული ნამდვილად გაასესხა და აქვს მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, თავმდეები ინფორმირებული არ იყო თუ უბრალოდ მოატყუა მსესხებელმა“, – ამბობს იაგო ქეშელაშვილი.

თავდებად დადგომის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები სამსახურებში ხდება. ირაკლი, ზურა და ლევანიც თანამშრომლები იყვნენ. სადაზღვევო

ძლივს გაყიდა. აღმოჩნდა, რომ სესხი ვერ გადაიხადა, ჩვენ კი წარმოდგენაც არ გვქონდა. ერთ მშვენიერ დღეს გავიგეთ, რომ სააღსრულებლო წარმოება იყო დანყებული და ფული ჩვენ უნდა გადაგვხადა. დაახლოებით 1 წელი 400-400 ლარი, ანუ ნახევარი ხელფასი გვეჭრებოდა. ირაკლი საერთოდ დაიკარგა, გვემალებოდა, გაგიჟებულები ვექებდით, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, საერთოდ წავიდა საქართველოდან“, – იხსენებენ ისინი.

თავდებობა მხოლოდ ნდობაზეა დაფუძნებული. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ეს ხელმოწერა მათ არაფერს ავალდებულებთ, არადა, თავდებობის ხელშეკრულებაში, რომელიც სესხის გაცემის დროს ცალკე დგება, ყველაფერი გარკვევით წერია, თუმცა მოქალაქეები მას თითქმის არასდროს კითხულობენ. შემდგომი პრობლემის თავიდან არიდების საუკეთესო გზა კი ინფორმაციის წინასწარ მიღებაა. „სანამ მოქალაქე ხელს მოაწერს, უნდა წაიკითხოს ხელშეკრულება, ყურადღებით გადაავლოს თვალი პირობებს, რაც იქ წერია, იკითხოს და მერე დაუდგეს თავდებში. მოქალაქეები უნდა დაფიქრდნენ იმაზეც, ენდობიან თუ არა მოვალეს და გააცნობიერონ ის რისკი, რაც ელოდებოდა“, – აცხადებენ აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

**■ პრობლემის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ თავდებობის სავარაუდო რისკებს არ აცნობიერებენ და ზოგჯერ თავდებში პრაქტიკულად უცნობ ადამიანებსაც კი უდგებიან. „მოდი რა, გეხვეწები, ხელი უცბად მომიწერე“, – ასე იწყება ძირითადად ყველაფერი.**

კომპანიაში ერთად რამდენიმე წელი მუშაობდნენ და მეგობრობდნენ კიდევ. როდესაც ირაკლიმ ავტომანქანის ყიდვა გადაწყვიტა, ბანკში უთხრეს, რომ სესხს უპრობლემოდ მისცემდნენ, თუმცა ორი ადამიანის ხელმოწერა დასჭირდებოდა. ზურა და ლევანი დათანხმდნენ, მათ ვერ წარმოდგინათ, რომ ეს თანხა მათი გადასახდელი გახდებოდა: „ირაკლი რამდენიმე თვეში შემციურებაში მოყვა, მერე ავარია შეემთხვა, დამტვრეული მანქანა

ასეთი გადანყვებილების მიღებამდე მოქალაქეებს შეუძლიათ აღმასრულებლის ეროვნულ ბიუროს მიმართონ და უფასო იურიდიული კონსულტაციით ისარგებლონ. უწყებაში ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში ამ საკითხის მიმართ დაინტერესება გაიზარდა და ბიუროს თავდებობის ხელშეკრულების არსისა და შესაძლო შედეგების გაცნობის მიზნით სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს. **■**

ჯანდაცვა

# ჩუმი მხვედელი

საქართველოში დაახლოებით 200 000 ადამიანი C ჰეპატიტითაა ინფიცირებული, სახელმწიფოს კი დაავადებასთან ბრძოლის სტრატეგია არ გააჩნია.

ეკა ჭითანავა



28 ივლისს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ჰეპატიტების მსოფლიო დღე აღინიშნა.

ფოტო: ლევან ხორავა

„ეკიმო, რამდენ ხანს ვიცოცხლებ?“ – ჰკითხა 38 წლის ირაკლიმ ეკიმს მას შემდეგ, რაც C ჰეპატიტის დიაგნოზი დაუსვეს. „თუ ჭკვიანად იქნები, 20-25 წელი!“ – უპასუხა ეკიმმა. გაფრთხილების მიუხედავად, ირაკლიმ მთელი 9 წლის განმავლობაში მაინც გააგრძელა ნარკოტიკების მიღება. თუმცა, შემდეგ მიხვდა, რომ ორგანიზმი ამდენს ვეღარ უძლებდა და ცხოვრების წესი შეცვალა.

„ეს დაავადება ისეთი ვერაგია, ნელ-ნელა გეპარება და გინადგურებს მთელ ორგანიზმს“, – ამბობს ირაკლი და დასძენს, რომ უკვე ნახევარი წელია, ნარკოტიკს აღარ

იღებს. თუმცა იმის გამო, რომ გამოკვლევა სრულად ვერ ჩაიტარა, ჯერ კიდევ არ იცის, როდის რა უკუშედეგი იჩენს თავს.

„ვერაგ დაავადებას“, ანუ C ჰეპატიტს, მთელ მსოფლიოში „ჩუმ მკვლელს“ უწოდებენ. იმის გამო, რომ დაავადება სიმპტომების გარეშე ვითარდება, ათი პაციენტიდან ცხრამ არცეი იცის, რომ C ჰეპატიტი აქვს.

„C ჰეპატიტის გამოვლენას სპეციალური ლაბორატორიული ტესტირება სჭირდება. მას მოულოდნელად მაშინ აღმოაჩენენ ხოლმე, როცა ოპერაციის ან სისხლის გადასხმისთვის ემზადებიან“, – ამბობს ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური

იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის განყოფილების გამგე, ფატი გაბუნია და დასძენს, რომ გართულებული C ჰეპატიტი შემდეგ ინვევს ციროზს, ლივდის უკმარისობას, ან კიბოს.

C ჰეპატიტი გლობალურ პრობლემად 1980-ანი წლების შემდეგ იქცა. დღეს მთელ მსოფლიოში ამ ვირუსით 170 მილიონი ადამიანია ინფიცირებული, რაც დედამიწის მოსახლეობის 3 პროცენტს უდრის. მათგან ყოველწლიურად, 8-10 ათასი ადამიანი ქრონიკული C ჰეპატიტით გამოწვეული გართულებებით კვდება.

„ჰეპატიტი სარკესავითაა“, – ამბობენ



ც პეპატიტი ინფიცირების რისკი ყველაზე მაღალია თუკი ნარკოტიკის მომხმარებელი ხარტ. საქართველოში ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების 68 პროცენტს პეპატიტი აქვს.

## ც ჰეპატიტის ხისტ-ჯბაუები

- ▶ ადამიანები, რომლებსაც გადაუსხეს შეუმონმეპელი სისხლი
- ▶ ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტები და თანამშრომლები
- ▶ ჰემოფილიით დაავადებული პაციენტები
- ▶ ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლები, რომლებიც ზიარ შპრიცებს და ნემსებს იყენებენ
- ▶ ადამიანები, რომლებსაც არასტერილურ სამედიცინო ინსტრუმენტებთან აქვთ შეხება
- ▶ ადამიანები, რომლებიც არასტერილურ გარემოში იკეთებენ აკუპუნქტურას ან ტატუს

ასევე, შედარებით იშვიათად

- ▶ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლები
- ▶ დაუცველი სქესობრივი კავშირის მქონე ადამიანები
- ▶ ახალშობილები, რომელთა მშობლები ინფიცირებულნი არიან
- ▶ შემთხვევათა 10-40 პროცენტში რისკ-ფაქტორები გარკვეული არაა

ამერიკელი ექიმები, – „იგი მთელ ქვეყანას მოიცავს, მათ შორის არიან ავტობუსის მძღოლები, მშენებლობის მუშები, მეტეჟური დედები“.

საქართველოში ინფიცირებულების შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ერთადერთი კვლევის მიხედვით, რომელიც შიდსის ცენტრმა 2008 წელს ჩაატარა, საქართველოში ც პეპატიტი გამოკვლეულთა 6.7%-ს დაუდგინდა, რაც მსოფლიოში ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს 2-ჯერ და მეტად აღემატება. თუ ქვეყნის მთელ მოსახლეობაში გავრცელება ასეთია, მაშინ, საგარეოდ ც პეპატიტი საქართველოს 200 000-მდე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს. ეს კი შემაფოთებული ციფრია.

„საქართველოს სტატისტიკა რეალურ სურათს არ ასახავს, შეიძლება მეტი ინფიცირებულიც იყოს ან – ნაკლები“, – ამბობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი კანდელაკი, – „ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხშირად კლინიკები დიაგნოზის მონაცემებს ჩვენს ცენტრს დროულად არ აწვდიან, ამიტომ შემთხვევების დიდი ნაწილი, უბრალოდ, არ აღირიცხება“.

ისევე, როგორც აივ ინფექცია, ც პეპა-

ტიტიც ჩვეულებრივი, ყოფითი ურთიერთობებით არ გადადის. ტუჟუთი კვებით, ხველებით, ცემინებით, ჩახუტებით, საერთო ჟურჟლიდან ჟამით – ვირუსი ინფიცირებული ორგანიზმიდან ჯანმრთელში არც ერთი ჩამოთვლილი გზით არ ხვდება. მისი გავრცელების მთავარი საშუალება სისხლია. ამიტომ ც პეპატიტი ინფიცირების რისკი ყველაზე მაღალია, თუკი ადამიანი ნარკოტიკის მომხმარებელია.

საქართველოში ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლების 68 პროცენტს პეპატიტი აქვს. „ესენი არიან „ზიარი შპრიცის“ მებობრები. როცა რამდენიმე ადამიანი ერთ შპრიცს იყენებს, ვირუსის გადადების რისკი ბევრად იზრდება“, – განმარტავს ფატი გაბუნია.

„საერთო შპრიცის გამოყენებისას სისხლში აივ ინფექციის შეჟრის საფრთხე 300-დან ერთია“, – ამბობს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორიც, სტიუარტ რეი, – „მაგრამ ეს რისკი ათჯერ მეტია, თუკი შპრიცი ც პეპატიტი ინფიცირებულმა გამოიყენა“.

თუმცა, ეს მას არ ნიშნავს, რომ ც პეპატიტი მხოლოდ ნარკოტიკის მომხმარებელთა დაავადებაა. ხშირად ვირუსი სისხლის გადასხმით, არასტერილურ გარემოში ტატუი-



რებით, მანიკურ-პედიკურით, ან დაუცველი სქესობრივი ურთიერთობითაც გადადის. გავრცელების ამ გზებს შორის კი ყველაზე ხშირი სისხლის დონაციაა.

ამერიკელი მეცნიერები ამბობენ, რომ მათ, ვისაც სისხლი 1992 წლამდე გადაუსხეს, დიდი ალბათობაა, ახლა C ჰეპატიტი ჰქონდეთ, რადგან „უსაფრთხო სისხლის“ ცნება მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში სულ ოციოდე წელია, რაც გაჩნდა. სისხლის დონაციით დაინფიცირების საფრთხე მსოფლიოში განსაკუთრებით მაღალი 1960-იან წლებში იყო, როცა დონორებს სისხლისთვის ფულს უხდიდნენ და დიაგნოსტიკების სანდო მეთოდები არ არსებობდა. სწორედ ამიტომ, 1960-დან 1965 წლამდე სისხლის მიმღებთა მესამედი C ჰეპატიტით დაინფიცირდა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, გიორგი კანდელაკი იხსენებს, რომ მისი კლინიცისტ ექიმად მუშაობის პერიოდშიც ყოფილა შემთხვევები, როცა C ჰეპატიტი პაციენტს სწორედ დონორისგან გადასდებოდა.

„შეიძლება ეს იყო ენ „ფანჯარა პერიოდი“, როცა ვირუსი სისხლში არ ჩანს, პაციენტს შეიძლება, ჰქონდეს კიდევ C ჰეპატიტი, მაგრამ სანაყის ეტაპზე ტესტმა არ გამოავლინოს. მხოლოდ ორგანიზმში შეჭრიდან სამი თვის მერე არის შესაძლებელი დიაგნოზის ზუსტი დადგენა“, – ამბობს ფატი გაბუნია.

სისხლის დონაციის გზით რისკის შემცირების ერთ-ერთი ყველაზე სანდო გზა უანგარო დონაციის ნახალისებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დონორი სისხლს ბანკში უსასყიდლოდ აბარებს და ანაზღაურებას არ ითხოვს. სპეციალისტების მტკიცებით, საფრთხე იმისა, რომ დონორი კითხვარის შევსებისას სისხლით გადამღებ რაიმე დაავადებას დამალავს, თითქმის არ არსებობს.

C ჰეპატიტის გადადების საფრთხე მაღალია სტომატოლოგიურ კლინიკებსა და სილამაზის სალონებში, სადაც სტერილიზაციის ნორმები არ კონტროლდება.

„მე, მაგალითად, როცა სტომატოლოგთან მივდივარ, პირდაპირ ვაცხადებ, რომ ვარ C ჰეპატიტით ინფიცირებული და ფურჩევ იმ ინსტრუმენტებს, რომლებსაც ჩემზე გამოიყენებენ, განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრან“, – ამბობს კოტე რუხაძე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია

„ჰეპა პლუს“ ხელმძღვანელობს.

„თუმცა ვიცი, რომ ბევრი არათუ ექიმის კაბინეტში, ოჯახის წევრებისგანაც კი მალავს რომ C ჰეპატიტი აქვს. მათიც მესმის, ცოტა დამთრგუნველია ეს მდგომარეობა, რადგან ხალხმა არ იცის, როგორ გადადის დაავადება, ინყებენ გამოკითხვას, ზოგს ჰგონია, რომ თუ ინფიცირებული ხარ, აუცილებლად ნარკოტიკის მომხმარებელი უნდა იყო. ზოგი კი, პირიქით, ფიქრობს, რომ ჩახუტებითაც კი გადადის ეს დაავადება“, – დასძენს რუხაძე.

მოსახლეობის არაინფორმირებულობა დაავადების გამოვლენასა და მკურნალობასაც უშლის ხელს.

მაგალითად, ბევრმა არ იცის, რომ C ჰეპატიტი სასიკვდილო განაჩენი არაა. მწვავე ფორმის დროს, როცა დაავადება ჯერ კიდევ ქრონიკულ ფაზაში არ გადასულა, შემთხვევების 15 პროცენტი შეიძლება, თავისითაც განიკურნოს.

2009 წელს საქართველოში C ჰეპატიტზე მხოლოდ 320-მდე ადამიანმა იმკურნალა. თუ რამდენს სჭირდებოდა კიდევ მკურნალობის ჩატარება, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ზუსტად არ იციან. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ, რომ იმავე წელს მხოლოდ შიდსის ცენტრში C ჰეპატიტზე გამოკვლევა 548 ადამიანმა ჩაიტარა, გამოდის, მკურნალობა რეალურად იმაზე ბევრად მეტ ადამიანს სჭირდება, ვიდრე ახერხებს.

არაინფორმირებულობის, სტიგმისა და შიშის გარდა, ინფიცირებულთათვის ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორი მკურნალობის სიძვირეა. უფრო მეტიც, ზოგჯერ მკურნალობამდე არცკი მიდის საქმე, რადგან C ჰეპატიტის ზუსტი დიაგნოსტიკაც კი, საშუალოდ 1600 ლარი ღირს.

დიაგნოსტიკური დაავადების მკურნალობა ორი გავრცელებული პრეპარატით – რიბავირინითა და ინტერფერონით ხდება. მკურნალობის ფასის გადახდა კი ყველას როდი შეუძლია. 24-კვირიანი კურსის გავლა – 4500 ევრო, 48 კვირიანის კი 9000 ევრო ჯდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ვექტორი“ და მისი დამფუძნებელი, კოკა ლაბარტყავა 2010 წლიდან ნარკოტიკის მომხმარებლებისთვის ექსპრეს ტესტებს ატარებენ. ლაბარტყავას თქმით, მათთან გამოკვლეულ ნარკომომხმარებელთა 80 პროცენტი C ჰე-

**C ჰეპატიტი**  
**საქართველოში**

სულ C ჰეპატიტის ექვსი გენოტიპი არსებობს. მათგან საქართველოში პირველი სამია გავრცელებული. მეორე და მესამე გენოტიპის დროს, ექვსთვიანი მკურნალობის შემდეგ, განკურნების ალბათობა 60-80 პროცენტია. პირველი გენოტიპის განკურნების ალბათობა კი ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ – 40-50 პროცენტი. ქრონიკული C ჰეპატიტის დროს დაახლოებით 5-დან ერთ პაციენტს ღვიძლის ციროზი ან კიბო უვითარდება, რომლის მკურნალობის ერთადერთი გზა ღვიძლის ტრანსპლანტაციაა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უკუჩვენებების, ან ღვიძლის მდგომარეობის გართულებების გამო, მკურნალობის ჩატარება საერთოდ შეუძლებელია.

პატიტის ვირუსით ინფიცირებულია. მათი უმთავრესი პრობლემა კი ისაა, რომ სრულ დიაგნოსტიკებსა და მკურნალობაზე ხელი არ მიუწვდებათ. ხარჯებს არც სახელმწიფო და არც სადაზღვევო კომპანიები არ ანაზღაურებენ.

„ამ ეტაპზე ყველაზე რეალისტური იქნება, თუკი სახელმწიფო C ჰეპატიტით ინფიცირებულებს დიაგნოსტიკების ხარჯების დაფარვაში მაინც დაეხმარება“, – ამბობს ლაბარტყავა.

28 ივლისს მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ჰეპატიტის მსოფლიო დღე აღინიშნა. თბილისსა და რამდენიმე ქალაქში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მონაწილეობა აქცია „იცოდე, შეცვალე, დაიცავი“.

ორგანიზატორებმა დაწერეს პეტიცია და საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს, ჯანდაცვის სამინისტროსა და ადამიანის უფლებათა დამცველებს კონკრეტული მოთხოვნებით მიმართეს. ისინი ამ პეტიციით C ჰეპატიტის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას, ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარებას და სოციალური დაზღვევის პროგრამებში ინფექციის დროული გამოვლენისა და მკურნალობის ხარჯების გათვალისწინებას ითხოვენ. **□**

ფემინიზმი

## შიშველი ჰიოსტები

ქალთა საპროტესტო ჯგუფი „ფემენი“ უკრაინაში ახალი ფემინიზმის დაფუძნებას ცდილობს. რა კავშირია ტოპ-ლეს გოგონებსა და ჯაშუშობაში ბრალდებულ ქართველ ფოტორეპორტიორებს შორის?

ნინო ჩიმაკაძე, ნათია გულიაშვილი



18 ივლისს, რამდენიმე დღით ადრე, სანამ ჯაშუშობაში ბრალდებულ ქართველ ფოტორეპორტიორებს სასამართლო დამნაშავედ ცნობდა და საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლებდა, უკრაინაში საქართველოს საელჩოსთან ქალთა საპროტესტო ჯგუფმა „ფემენმა“ აქცია მოაწყო. მათი თქმით, გამოძიებამ ვერ წარმოადგინა საკმარისი ფაქტები, რაც ფოტოგრაფების ჯაშუშობას დაამტკიცებდა, ამიტომ „ფემენი“ დაკავებულე-

ბის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვდა. ნახევრად შიშველი გოგონების გამოჩენას საელჩოს დაცვის თანამშრომლისგან აგრესიული რეაქცია მოჰყვა. აქტივისტებისადმი უხეში მოპყრობის გარდა დაცვამ იქვე შეკრებილი ფოტორეპორტიორებიდან ერთ-ერთს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. რეპორტიორის განცხადების შემდეგ საელჩოს თანამშრომელი სამსახურიდან იმ დღესვე გაათავისუფლეს.

ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ სოციალურ ქსელებზე ხუმრობდნენ, რომ დაცვის თანამშრომლის არაადეკვატურად აგრესიული ქცევა, პროტესტის მოულოდნელმა „ტოპ-ლეს“ ფორმატმა განაპირობა. უკრაინული საზოგადოების, ხელისუფლებისა და მედიისთვის კი კიევის ქუჩებში შიშველი პროტესტანტების მსგავსი თეატრალური და სკანდალური აქციები უკვე კარგად ნაცნობია.

უკრაინაში დღეს არცერთი ორგანიზაცია ისე ხშირად არ ექცევა ახალი ამბების და პოლიციის ყურადღების ცენტრში, როგორც „ფემენი“. თუმცა, 3 წლის წინ, როცა 24 წლის ანა გუცოლის ლიდერობით შექმნილმა ორგანიზაციამ ქვეყანაში პროსტიტუტების დამქირავებლების წინააღმდეგ კანონმდებლობის მიღების მოთხოვნით გამოსვლები დაიწყო, ხელისუფლება მათ სრული იგნორირებით შეხვდა. მაშინ ანამ ახალი წამოწყებისთვის კარგად გამოიყენა თეატრისა და გასართობ ბიზნესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება: ეფექტური და პროვოკაციული შოუებით მან და მისმა თანამებრძოლებმა მალე მიიპყრეს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მედიის ყურადღება. მას შემდეგ შიშველი მკერდით, თმაში ყვავილებით და ფერადად მოხატული სხეულით გოგონებს „გარდიანი“, „ვაშინგტონ პოსტი“, „შპიგელი“, „სანი“ და სხვა გამოცემები ვრცელ სტატიებს უძღვნიან. დღეისათვის „ფემენს“ კვიეში 40 აქტივისტი ჰყავს, მათ აქციებში 300-მდე გოგონა მონაწილეობს, ონლაინ მხარდამჭერების რიცხვი კი 30000-მდეა.

როგორც ორგანიზაციის ლიდერები ამბობენ, თავიდან პროტესტის რადიკალურ ფორმებზე არ ფიქრობდნენ:

„დასაწყისში ჩვენ არ ვიყენებდით „ტოპ ლეს“ პროტესტს, მაგრამ შემდეგ მივხვდით, რომ საჭირო იყო რამე უფრო რადიკალური. ჩვენ არ გვყავს ხალხი, ვინც დაგვეხმარება და რეკლამირებას გაგვინებს, არც დიდი ფული გვაქვს. ტელეარხებსა და ჟურნალებში ჩვენ ყოველდღე ვხედავთ შიშველ გოგონებს, რომლებიც რალაცას ყიდიან. ჩვენ გვინდა ვუთხრათ მათ, თქვენი სხეული ასეთი კუთხით კი არ უნდა წარმოაჩინოთ, ბრძოლისა და პროტესტისთვის უნდა გამოიყენოთ ის“, – ამბობს ინა შეფჩენკო „გარდიანთან“ ინტერვიუში.

„ლიბერალთან“ საუბარში ის განმარტავს, რომ ეს ერთადერთი რეალური პროტესტის ფორმაა დღეს უკრაინაში, რომლითაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეიძლება: „რალაც გიჟური, არაორდინარული უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხის და მთავრობის ყურადღება მივიქციოთ“, – ამბობს ინა.

„ჩვენი ღმერთი ქალია, ჩვენი მისია – პროტესტი, ჩვენი იარაღი – შიშველი მკერდი“, – ასე გვაცნობენ თავს ორგანიზაციის წევრები facebook-ის ფან-გვერდზე. თუმცა ყურადღების მიქცევის ასეთ ტაქტიკას, ტრადიციული ფემინისტური ჯგუფები ეჭვის თვალით უყურებენ და ამბობენ, რომ ასეთი ფორმით აქტივისტები კიდევ უფრო ამყარებენ სტერეოტიპს, რომ ქალი სექსუალური ობიექტია,



რომლის ერთადერთი ღირებულება მისი გარეგნობაა.

„ფემენის“ წევრები თავს ტრადიციული გაგებით ფემინისტებად არ მიიჩნევენ. მათი აზრით, კლასიკური ფემინიზმი დღეს არცთუ ისე რელევანტურია, რადგან მათი წარმომადგენლები გენდერული თანასწორობისთვის მასკულიზურ გარეგნობას ირჩევენ და სექსუალურ ჩაცმულობას უარყოფენ.

„არაა აუცილებელი მამაკაცივით გა-

მოიყურებოდე იმისთვის, რომ შენი სიძლიერე დაამტკიცო და საკუთარი უფლებებისთვის იბრძოლო. პირიქით, ვფიქრობ ქალებმა სწორედაც რომ უნდა გამოიყენონ თავიანთი სილამაზე და სექსუალურობა მიზნის მისაღწევად“, – აღნიშნავს ინა.

ამ პოზიციას იზიარებს ანა გუცოლიც: „ასეთია ჩვენი კულტურა და თუკი შენს თავს არამიმზიდველად წარმოაჩენ, მაშინ მარგინალიზებული გახდები. ეს კი ის არის, რაც ჩვენ ყველაზე ნაკლებად გვინდა“.

„ფემენის“ აქტივისტებისთვის პრობლემა არ არის პატრიარქალურ საზოგადოებას „მისივე ენით“ დაელაპარაკონ, თუკი ამას შედეგი მოაქვს. შედეგი კი, მათი თქმით, თუნდაც ის არის, რომ მათ საპროტესტო აქციებამდე უკრაინაში პროსტიტუციასა და სექს ტურიზმზე არავინ საუბრობდა. ახლა კი ყველა მედიასაშუალება, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, აჩვენებს, რომ უკრაინა არა მეძავების, არამედ იმ შიშველი გოგონების ქვეყანაა, რომლებიც ამ პრობლემების გადასაჭრელად იბრძვიან“.

პროსტიტუციის ბიზნესთან დაკავშირებით პირველი აქცია „ფემენმა“ 2008 წლის სექტემბერში, თურქეთის საელჩოსთან გამართა, რადგან მათი ინფორმაციით, თურქი მამაკაცები ყველაზე აქტიური და მრავალრიცხოვანი სექს ტურისტები არიან უკრაინაში. შემდეგ კი გოგონებმა იმ მოედანზე მოაწყვეს აქცია, სადაც ოთხი წლით ადრე ნარინჯისფერ რევოლუციას ზეიმობდნენ: „უკრაინა არ არის ბორდელი“ – ასეთი იყო მათი სლოგანი დემონსტრაციაზე.

2 წლის შემდეგ ამავე თემაზე მათ კიდევ ერთი ხმაურიანი აქცია გამართეს, როდესაც გაიგეს, რომ ახალი ზელანდიის ერთ-ერთ როკ რადიოში, სადაც უკრაინის საგზური თამამდებოდა, ორგანიზატორები სხვა პრიზებთან ერთად გამარჯვებულს ახალგაზრდა უკრაინელი ცოლის „მოგებასაც“ ჰპირდებოდნენ.

„ფემენის“ პროტესტის სამიზნე ადგილობრივი ბიზნესმენებიც არიან, რომლებიც ხშირად სასტუმროებში უცხოელებს სპეციალურ ოთახებს სთავაზობენ ადგილობრივ გოგონასთან დროის კარგად



დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდაჭერი აქცია საქართველოს საელჩოსთან კიევში

გატარების დაპირებით. გოგონების განცხადებით, ადგილობრივი ოლიგარქები პროსტიტუციის ინდუსტრიაში ამ გზით ყოველწლიურად მილიარდი დოლარის მოგებას ნახულობენ.

„ფემენა“ მიზანში მალე კიევის უნივერსიტეტის პროფესორებიც ამოიღო. აქტივისტებმა უნივერსიტეტის წინ გამომწვევ თეატრალურ აქციაში მამაკაცებიც ჩართეს, სკამებზე მჯდარ „პროფესორებს“ მოკლეკაბიან უნიფორმებში გამოწყობილი „ფემენის“ აქტივისტები, წიგნით ხელში, სხვადასხვა პოზებში უსხდებოდნენ. როგორც გოგონები განმარტავდნენ, ამ სცენით ისინი უნივერსიტეტის პროფესორების გავრცელებულ პრაქტიკას ამხელდნენ – პროფესორები ნიშნის დაწერის სანაცვლოდ, გოგონებისგან ფულს ან სექსს ითხოვენო. მოგვიანებით, კიევის უნივერსიტეტის პროფესორებმა მათ რამდენიმე სტუდენტს გაფრთხილების წერილიც გაუგზავნეს, მას შემდეგ, რაც მათი ამ აქციაში მონაწილეობის შესახებ გაიგეს.

სექსტურიზმის და პროსტიტუციის გარდა, „ფემენი“ ხშირად ეხმარება ადგი-

**„ლიბერალთან“ საუბარში ინა განმარტავს, რომ ეს ერთადერთი რეალური პროტესტის ფორმაა დღეს უკრაინაში, რომლითაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა შეიძლება: „რალაც გიჟური, არაორდინარული უნდა გავაკეთოთ, რომ ხალხის და მთავრობის ყურადღება მივიქციოთ“.**

ლობრივ სოციალურ თუ საერთაშორისო თემებსაც – უკრაინაში ქალთა საპენსიო ასაკის გაზრდით დაწყებული, ირანში საქინე აშთიანის საქმით თუ არაბეთში ქალებისთვის მართვის მონომობის აკრძალვით დამთავრებული.

„ფემენის“ შექმნის წელს, ისინი ამბობდნენ, რომ არ აპირებენ გახდნენ პოლიციელები ან პოლიტიკოსებს კანონები დაუწერონ. „ჩვენ ვიყვირებთ, ვიცეკვებთ

და ვიმღერებთ პრობლემებზე, შესაბამისი ნაბიჯები კი მათ [პოლიტიკოსებმა] უნდა გადადგან“, – ამბობდა „კიევ პოსტთან“ ინტერვიუში ჯგუფის მამაკაცი წევრი, ვიქტორ სვიაცი. დროთა განმავლობაში კი ინტერესთა სფეროს ზრდასთან ერთად „ფემენის“ წევრები მიხვდნენ, რომ პოლიტიკის გვერდის ავლით მათი აქტივობა ნაკლებ ეფექტიანი იქნებოდა. 2010 წელს ისინი უკვე ხმამაღლა ალაპარაკდნენ იმაზე, რომ უკრაინელი ქალები სამზარეულოდან უნდა გამოვიდნენ და პოლიტიკაში აქტიური ნაბიჯები გადადგან.

ადგილობრივ პოლიტიკურ ფიგურებთან კი მათ საკმაოდ მწვავე ურთიერთობა აქვთ. ჯერ კიდევ 2008 წელს, მათი პირველი გამორჩენისას, მათ ხან ტიმოშენკო-გოგონებს, ხან პუტინის აგენტებს ეძახდნენ, მაგრამ „ფემენში“ არც ტიმოშენკოს პოპულარობას მიიჩნევდნენ ქალების გამარჯვებად: ისინი მას არსებული ხელისუფლების რიგით მოთამაშედ თვლიდნენ.

ვიქტორ იანუკოვიჩს აქტივისტი გოგონები მისი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან აქციებით ანებივრებენ. საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას, „ფემენი“ საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ იანუკოვიჩის მოსვლის შემთხვევაში ის „დემოკრატის გააუპატიურებდა“. გასულ წელს კი ის დაადანაშაულებს, რომ მედიას იმავე მეთოდებით მართავს, როგორც ავტორიტარი პუტინი და უგო ჩავესი. იანუკოვიჩს აკრიტიკებენ იმის გამოც, რომ მან მინისტრთა კაბინეტი მხოლოდ მამაკაცებით დააკომპლექტა. „უკრაინის მინისტრთა კაბინეტი მამაკაცების ტულუტს ჰგავს“, – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ინა შევჩენკომ. მათი პროტესტი ამ განცხადებაზე პრემიერ-მინისტრის აზაროვის გამომხაურებამაც გამოიწვია, რომელმაც განაცხადა, რომ პოლიტიკა და რეფორმების გატარება ქალების საქმე არააო.

ამ ყველაფრის საპასუხოდ „ფემენის“ წევრებმა თავად გადაწყვიტეს პოლიტიკაში წასვლა:

„გასულ წელს ჩვენ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ ოფიციალური განცხადება გავაკეთეთ. უკრაინის პარლამენტში ქალები

მხოლოდ 8 პროცენტს შეადგენენ და არცერთი მათგანი არ არის აქტიური ქალთა უფლებების დაცვის კუთხით. ამიტომ გადაწყვიტეთ ვიშოვოთ მილიონი დოლარი არჩევნებისთვის და თავად ვიყაროთ კენჭი, – ამბობს ანა გუცოლი „ლიბერალთან“ საუბარში.

ამ ეტაპზე ფემენის ერთერთი პრობლემა სწორედ ფინანსების ნაკლებობაა. ისინი ერთეული ადამიანების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული, რაც აქციებისთვის საჭირო სამოსისა და ინვენტარის გარდა, ოფისში მხოლოდ ყავისა და ნამცხვრისთვის ჰყოფნით. აქამდე ცნობილი სპონსორების სიაში მხოლოდ გერმანელი DJ Hell და ახალგაზრდა ბიზნესმენი ანდრეი კოლომიევი ფიგურირებენ. თანხის გარკვეულ ნაწილს პერიოდულად „ფემენის“ მაისურების, ჩანთების, ჭიქების და სხვა ნივთების გაყიდვითაც შოულობენ. თუმცა, იმედი აქვთ, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო თანხის შეგროვებას მაინც შეძლებენ, ჯერ ხომ წინ

წელიწადზე მეტი დრო აქვთ.

უკრაინის გარდა „ფემენის“ კრიტიკის ქარცეცხლში რუსეთის პოლიტიკური ელიტაც ხშირად ხვდება. ისინი რუსეთის მხრიდან უკრაინის პოლიტიკაში ჩარევას აპროტესტებენ. გასულ წელს, ვლადიმირ პუტინის უკრაინაში ვიზიტს „ფემენი“ სლოგანით შეეგება „უკრაინა არ არის ალინა“. „შორს ბინძური ხელები უკრაინისგან.“ ამით ისინი აპელირებდნენ მედიაში სპეკულირებულ თემაზე რუსეთის პრემიერისა და ოლიმპიური ჩემპიონის, ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევას კავშირზე. მოგვიანებით, რუსეთში გამოჩნდა ჯგუფი „რუ ფემენი“. უკრაინელი აქტივისტები დღემდე კატეგორიულად უარყოფენ მათთან რაიმე კავშირს და რუსეთის ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაში, რომ მათი დისკრედიტაციის მიზნით ისინი „რუ ფემენს“ აფინანსებენ.

პუტინის სკანდალური დახვედრის შემდეგ, ადგილობრივი ხელისუფლება გაცილებით მკაცრი გახდა „ფემენტან“

ურთიერთობაში. იანუკოვიჩის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკრაინის საიდუმლო სამსახური SBU „ფემენის“ წევრების დაშინებასაც მიმართავს. აქტივისტები ირწმუნებიან, რომ ისინი რამდენჯერმე ორგანიზაციის ლიდერს „ფემენის მომტყვევით“ დაემუქრნენ, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ ხელისუფლებაზე თავდასხმებს.

„ფემენის“ წევრები კი დანებებას არ აპირებენ. პოლიტიკაში ბედის ცდის გარდა მათ გეგმებში ევროპის სხვა ქვეყნებში საკუთარი იდეების გავრცელებაც შედის. ისინი წარმომადგენლობების შექმნასაც აპირებენ, ამ ქვეყნების სიაში, როგორც თავად ამბობენ, საქართველოც შედის.

ორგანიზაციის ლიდერი ამბობს, რომ რამდენიმე წელიწადში უკრაინაში ისინი ქალების რევოლუციას მოაწყობენ და ყველა ქალი იტყვის, რომ ის ფემენია. „ეს უნდა იყოს ნამდვილი ქალების რევოლუცია. არა მატრიარქატი, მაგრამ რალაც მსგავსი“, – აღნიშნავს ანა გუცოლი. ■

Radio Commerciant

marketing@commerciant.ge  
+995 32 505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commerciant.ge

# პიხაღი დან სარჯარო სივრცე - სჭიხღებან თუ არღ ღიბეარღ ნღამიანს მოხარღ



მორალის ლიბერალური გაგებით, ადამიანის პირადი სივრცე ხელშეუხებელია, მაგრამ საჯარო სივრცეში მას საზოგადოება გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს უყენებს.

გიორგი ცხადია

სოციალური ქსელების გამოჩენამ ყველა ადამიანს მისცა თავისი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირების საშუალება. ადრე ასეთი რამ მხოლოდ პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეების და „საზოგადო მოღვაწეების“ პრივილეგია იყო. დღეს, ყველას შეუძლია, მაგალითად, „ფეისბუქზე“ შევიდეს და თავისი მოსაზრებები ფართო აუდიტორიას გაუზიაროს.

სწორედ ამიტომაც, დადგა დრო, სერიოზულად ვიმსჯელოთ, თუ სად მთავრდება მოქალაქის პირადი სივრცე და იწყება საჯარო სივრცე (და პირიქით)? რა არის მისაღები (მორალური) და მიუღებელი (ამორალური) ამ სივრცეებში?

ტრადიციულად, პირად სივრცედ მიიჩნევა ოჯახი და მეგობრების წრე. საჯარო სივრცეში საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებზე გამოთქმული განცხადებები პირად სივრცეში გამოთქმული მოსაზრებებისგან იმით განსხვავდება, რომ საჯარო სივრცეში პასუხისმგებელი ხარ მთელი საზოგადოების წინაშე, პირად სივრცეში კი შენი პოზიციის შეცვლა, ან ყალბი ფაქტების მოხმობა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის წინაშე გაქცევს დამნაშავედ. საჯარო სივრცეში იმიჯის გაფუჭება აისახება შენს ურთიერთობებზე საზოგადოებასთან, პირად სივრცეში კი უწყინარ ტყუილებს ადვილად გაპატიებენ.

საჯარო სივრცეში გაკეთებულ განცხადებებზე სრული პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენილი ფაქტები და წყაროები უნდა იყოს უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში, უნდა შეგეძლოს საკუთარი პოზიციის დაცვა. მაგალითად, ყვითელი პრესა პროფესიონალური პრესისგან იმით განსხვავდება, რომ გვთავაზობს ჭორებსა და დაუსაბუ-



თებელ ინფორმაციას და ამით კერძოსა და საჯაროს ერთმანეთში ურევს. სერიოზული პოლიტიკოსი ან საზოგადო მოღვაწეც არასერიოზულისგან იმით განსხვავდება, რომ თავის ნათქვამს კონკრეტული ფაქტებითა და არგუმენტებით ამყარებს.

პირადი სივრცის გასაჯაროებისგან საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი გვიცავს, რომლის მიხედვითაც „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.

ადამიანები ხშირად თავიანთ პირად ცხოვრებას თავიანთივე ნებით ასაჯაროებენ. მაგალითად, „ფეისბუქი“ პირადი ცხოვრების ნებაყოფლობითი განსაჯაროების ერთ-ერთი მაგალითია. იმის მიუხედავად, რომ ზღვარი პირადსა და საჯაროს შორის უფრო და უფრო მეტად იშლება, არ უნდა გვეგონოს, რომ ორივეს ერთი პრინციპი არეგულირებს.

დღეს, როცა პირადისა და საჯაროს ასეთი აღრევა ხდება, ყველაზე მეტად გვეჭირდება დავიცვათ ამ ორი სივრცის პრინციპები, იმისთვის, რომ უსიამოვნებები თავიდან ავიცილოთ.

დავინყოთ ერთი ყველაზე გავრცელებული უსიამოვნებით: ხშირად ირკვევა, რომ პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი და საჯარო ცხოვრება ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგა-

ლითად, ადამიანები, რომლებიც საჯარო სივრცეში ერთმანეთის პატიოსნებას ეჭვის ქვეშ აყენებენ და დაუნდობლად ლანძღავენ, მოულოდნელად პირად სივრცეში ახლობლები ან მეგობრები აღმოჩნდებიან. რა თქმა უნდა, ყველას აქვს იმის უფლება, რომ თავისი პირადი ცხოვრება როგორც უნდა, ისე მოინყოს, მაგრამ პირადსა და საჯაროს შორის ასეთი აცდენა, წესით და რიგით, ადამიანის საჯარო იმიჯზე უარყოფით გავლენას უნდა ახდენდეს.

განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა: ხანდახან ადამიანები ცდილობენ, რომ თავიანთი პირადი ცხოვრება საჯარო ცხოვრების მიხედვით მოაწყონ. ასეთ დროს, თუ ჩვენს თავს ძალზე მკაცრ კრიტიკიუმებს მივუყენებთ და ყველა იმ ადამიანთან გავწყვეტთ ურთიერთობას, რომლებსაც საჯარო სივრცეში არ ვეთანხმებით, საბოლოო ჯამში, იზოლირებული აღმოვჩნდებით; ვინაიდან თუ ადამიანი დამოუკიდებლად აზროვნებს, შეუძლებელია, რომ საჯარო სივრცეში ვინმეს აბსოლუტურად ყველაფერში ეთანხმებოდეს.

როგორ გავარჩიოთ შემთხვევა, როდესაც ჩვენს მონიშნულ მდგომარეობასთან პირად სივრცეში კარგი ურთიერთობა ლალატში არ ჩაგვეთვლება, იმ შემთხვევისგან, როდესაც ასეთი ურთიერთობები დაგვაზარალებს? ამ სფეროში გზის გასაგებლად ე.წ. ბონა ფიდეს პრინციპი გვეხმარება. ეს კონცეფცია აღნიშნავს ადამიანის გულწრფელ მოტივს, შეიტანოს დადებითი წვლილი საკითხის გადწყვეტაში. თუ საჯარო სივრცეში ადამიანის გულწრფელობასა და პატიოსნებაში ეჭვი შეგვაქვს და პირად სივრცეში ეს ადამიანი ჩვენი მეგობარია, მაშინ სრულიად სამართლიანი იქნება, თუ საზოგადოება ამ ურთიერთობის გამო გაგვიცხავს.

სამწუხაროდ, ჩვენთან საზოგადოებას იშვიათად აქვს ჩამოყალიბებული კრიტიკიუმები იმისთვის, რომ ადამიანების საქციელი პირად და საჯარო ცხოვრებაში ერთმანეთისგან გააცალკევოს. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერჯერობით, საქართველოში საზოგადოება (სამოქალაქო საზოგადოებას ვგულისხმობ) ან საერთოდ არ არსებობს, ან იმდენად სუსტად არის განვითარებული, რომ საჯარო მორალის

განსაზღვრავს გავლენას ვერ ახდენს.

მკითხველებს და ნაცნობებს, რომლებიც თავს ლიბერალებად მიიჩნევენ, რამდენჯერმე ჩემთვისაც უსაყვედურიათ, რომ „მორალისტი“ ვარ. სამწუხაროა, რომ საქართველოში „მორალი“ მხოლოდ საზოგადოების პირად ცხოვრებაში შემოჭრასთან ასოცირდება. არადა, მორალი ევროპული განმანათლებლობის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი და თანამედროვე, სამართლიანი სახელმწიფოსა და საზოგადოების საფუძველია.

**როგორ გავარჩიოთ შემთხვევა, როდესაც ჩვენს მონიშნულ მდგომარეობასთან პირად სივრცეში კარგი ურთიერთობა ლალატში არ ჩაგვეთვლება, იმ შემთხვევისგან, როდესაც ასეთი ურთიერთობები დაგვაზარალებს?**

დოების საფუძველია. ჩემთვის „მორალისტი საზოგადოება“ თავისუფალი საზოგადოებაა, რომელშიც ადამიანის პირადი და საჯარო ცხოვრება ერთმანეთისგან გამიჯნულია და რომელშიც საჯარო სივრცეში ადამიანებს გარკვეული (ეთიკური) პრინციპების დაცვას სთხოვენ.

ალბათ, მიხვდით, რომ „მორალში“ არ ვგულისხმობ არც კონსერვატორულ („ტრადიციებს დაცვა“) და არც რელიგიურ მორალს. ორივე მათგანს პრეტენზია აქვს, რომ ადამიანის პირადი სივრცე დაარეგულიროს. მორალის ლიბერალური გაგებით, ადამიანის პირადი სივრცე ხელშეუხებელია, მაგრამ საჯარო სივრცეში ამ ადამიანს საზოგადოება გულწრფელობისა და კეთილსინდისიერების კრიტიკიუმებს უყენებს.


საჯარო სივრცეში შეგვიძლია ვიდავოთ

იმაზე, რა უნდა იყოს მორალური და რა – პირიქით, მაგრამ იმის თქმა, რომ მორალი (ან ლირებულებები) არ არსებობს, მინიმუმ, თავის მოტყუება და მაქსიმუმ, სისულელეა.

პარადოქსული სულაც არ არის ის, რომ ზოგიერთი თვითაღიარებული ლიბერალი თავისდაუნებურად ქართველ კონსერვატორებს ეთანხმება იმაში, რომ საჯარო მორალი არ არსებობს. კონსერვატორებისთვის მორალი არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ისინი ერთმანეთისგან არ მიჯნავენ კერძოსა და საჯაროს. ტრადიციონალისტი კონსერვატორისთვის მორალურია ის, რაც საკუთარ ოჯახსა და კლანს სიკეთეს მოუტანს. საზოგადოებასა და საჯარო სივრცეზე ფიქრით ეს ტრადიციონალისტები თავს დიდად არ ინუხებენ (მიუხედავად იმისა, რომ გამუდმებით საზოგადოებრივ მორალზე აპელირებენ და ტრადიციებისა და რელიგიური ნორმების დაცვის მოთხოვნით გამოდიან).

ლიბერალების ნაწილმა ეს ქართული, ტრადიციონალისტური და რელატივისტური აზროვნების ჩარჩო შეინარჩუნა, მაგრამ მას განსხვავებული სახელი დაარქვა (ხშირად ამას „პოსტმოდერნიზმს“, „ლიბერტარიანიზმს“ ან რამე გლამურულ სახელს ეძახიან). არადა, სინამდვილეში, ქართველი ლიბერალი, რომელიც ამტკიცებს, რომ საჯარო სივრცეში მორალი არ არსებობს, ქართველი ტრადიციონალისტის აზროვნებას იზიარებს.

ქართველი ლიბერალების და კონსერვატორების ნაწილი ამ საკითხში ერთნაირად აზროვნებს. ლიბერალების ერთი კატეგორიისთვის მორალი არც კერძო და არც საჯარო სივრცეში არ არსებობს, კონსერვატორებისთვის კი მორალი ორივეგან არსებობს, მაგრამ არსებითად, მხოლოდ კერძო სივრცეში მოქმედებს (იქიდან გამომდინარე, რომ მათთვის საჯარო სივრცე, როგორც ასეთი, არ არსებობს).

იმისთვის, რომ საჯარო სივრცე განედეს, ამ ორივე ტიპის აზროვნებაზე უარი უნდა ვთქვათ და ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ გავმიჯნოთ პირადი ცხოვრება საჯაროსგან. ამის შემდეგ კი დავინყოთ დისკუსია იმაზე, თუ რა პრინციპები და ლირებულებები უნდა გავიზიაროთ საჯარო სივრცეში. 

# პატივის მუხოს მენაწოცია



სახელოვანი ფრანგი რეჟისორის სპექტაკლი „მე ქარი ვარ“ ავინიონის თეატრალურ ფესტივალზე უჩვენეს.

დავით ბუხრიკიძე

თეატრალური მექა – ავინიონი, რომელიც პუბლიკას რიგით 65-ე თეატრალურ ფესტივალზე ეპატიჟება, არტ-ევროპის ჭრელ ვიტრინას ჰგავს. როგორც ყოველთვის, პაპის სასახლის მთავარ სცენაზე წელსაც დიდი კონკურენციაა. ჯერ კიდევ მოუთელავ, ახალ ოპუსებს ცნობილ რეჟისორებთან და ქორეოგრაფებთან ერთად, ექსპერიმენტული თეატრის ლაბორატორიებში დახელოვნებული ახალგაზრდებიც უჩვენებენ.

ფესტივალის გაიხსნა ფრანგი რეჟისორის არტურ ნოზისიელის სპექტაკლით „იან კარსკი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ამბებს ცნობილი პოლონელი დიპლომატის, იან კარსკის ცხოვრების დრამატული ეპიზოდით გვამცნობს. ფრანგების იმედმა, ახალი თაობის რეჟისორმა გი კარსიემ ამასობაში ჟანა დარკის შესახებ მორიგი მითი „გამოაცხო“. „სისხლი და ვარდები“ – ასე ეწოდება ტომ ლანიეს მიხედვით დადგმულ ექსპერიმენტულ წარმოდგენას.

ლიბანელი წარმოშობის კანადელი დრამატურგი და მწერალი ვამდი მუავადი ამჯერადაც კლასიკური ტექსტის გადაკეთებითაა დაკავებული. ბერლინში გასულ წელს ვნახე მისი ლიტერატურულ-ქირურგიული ექსპერიმენტი „ტრამვაი, სახელად სურვილი“, ქმიშოფ ვარლიკოვსკის რეჟისურითა და იზაბელ იუპერის მსახიობური ოსტატობით. მან საკუთარი რეჟისორული ინგრედიენტებით გაზავებული სპექტაკლი წარმოადგინა სახელწოდებით „ქალები – დეიარინა, ანტიგონე, ელექტრა“.

მითიურმა ჟანა მორომ მონოსპექტაკლისთვის მოიცალა და ჟან ჟენეს ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი



სცენა სპექტაკლიდან „მე ქარი ვარ“

„სიკვდილისჯილი“ უპრეტენზიოდ, ლიტერატურული ფორმით დადგა. სამაგიეროდ, ზედმეტად ფორმალისტურია ქათქათა სივრცეში წარმოდგენილი „ფრეკენ ჟული“ (რეჟისორი ფრედერიკ მუსბახი; ავგუსტ სტრინდბერგის პიესის მიხედვით). ავინიონის საპატიო სტუმართა სიაში მახვილი თვალი ცნობილ ქორეოგრაფთა ამქარსაც გამოარჩევს: ანა ტერეზა დე კეერსმაკერი, მეგ სტიუარტი და ფრანსუა ვერე...

და მაინც, ფესტივალის მთავარ მოვლენად კრიტიკოსები კინოსა და თეატრის ცნობილი რეჟისორის, პატრის შეროს ახალ სპექტაკლს მიიჩნევენ. ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის იონ ფოსის პიესა „მე ქარი ვარ“ უკვე წარმოდგინეს ავინიონის პაპების სასახლის მთავარ სცენაზე. მანამდე კი

მაისში, პატრის შერომ ფოსის ყველაზე ცნობილი პიესა „შემოდგომის სიზმარი“ ვენის თეატრალური ფესტივალის („ვინერ ფესტივალ“) ღირექციის შეკვეთით დადგა.

შეროს ახალი სპექტაკლი ნამდვილად სასიამოვნო სიურპრიზია თეატრალურებისთვის. კინოვილმებისა და საოპერო დადგმების შემდეგ (შეიძლება გავიხსენოთ „დედოფალი მარგო“, „ინტიმურობა“, „მისი ძმა“, აგრეთვე, ექს-ან-პროვანსის საოპერო ფესტივალზე წარმოდგენილი მოცარტის „ასე იქცევა ყველა ქალი“ და პროკოფიევის „მოთამაშე“), მისი გამოჩენა ავინიონში მედიის ყურადღების ცენტრში ბუნებრივად მოექცა. „მე ქარი ვარ“ შერომ მასთან დიდი ხნის თანამშრომლობაში გამობრძმედილ შესანიშნავ სცენოგრაფსა და მხატვარ-



თან, რიშარ პედუცისთან ერთად განახორციელა.

ბერლინში, თეატრალური ფესტივალის დღეებში ნანახი სპექტაკლის სარეკლამო ტრეილერი უკვე იძლეოდა გარკვეული შეფასების საშუალებას. ბოლოს და ბოლოს, ასჯერ გაგონილს ისევ რამდენჯერმე ნანახი ტრეილერი სჯობს, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ლაივ-სპექტაკლზე.

ათიან სანახაობას გამოარჩევს, არის დახვეწილი დეპრესია, რომელსაც სოციალური კონტურები თითქოს დაკარგული აქვს. თქვენ თითქოს უკომპასოდ დაღმავალ ვეროპას უტყვერთ – პატარასა და მიუსაფარს, დეპრესიულს და არა გამთბარ-გამძლარს, გაჩერებულს და არა მიზანსწრაფულს. თუმცა დეპრესიას უფრო ექიმი სჭირდება, მელანქოლიისგან თავდახსნა კი არტ-

შეეჭვებულთა სულიერ მდგომარეობას. მით უმეტეს, 22 ივლისს, უხიფათო და მშვიდ ნორვეგიაში მომხდარი სიციხის ფონზე.

ცხადია, რომ პატრის შეროს „მე ქარი ვარ“ წმინდა ევროპული რეფლექსიაა. კრიზისისა და უმოქმედობის ხანა იონ ფოსის პერსონაჟებს ნელი სიკვდილისკენ უბიძგებს, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის მიხედვით, ისინი სწო-



რეჟისორი პატრის შერო

■ **ყველაზე არსებითი, რაც მდორე რიტმითა და ბრწყინვალე სცენოგრაფიით „შეიარაღებულ“, შეროს ერთსაათიან სანახაობას გამოარჩევს, არის დახვეწილი დეპრესია, რომელსაც სოციალური კონტურები თითქოს დაკარგული აქვს.**

ართიმულ-აბსურდული ტექსტის ასოციაციები ბეკეტისა და მეტერლინკის პიესებთან ბუნებრივად ჩნდება. გმირებს სახელები არა აქვთ: ის (ტიმ ბრუკი) და სხვა (ჯეკ ლესკი) საზღვაო კატასტროფას გადაურჩნენ. თუმცა ამის შემდეგ მელანქოლიაში გადავრდნილი ორი მამაკაცი განუწყვეტლივ და მოკლე ფრაზებით ლაპარაკობს სიკვდილზე. და რაც უფრო მოკლე და სიმბოლურია ფრაზები, მით უფრო ბუნდოვანი თუ გასაიდუმლოებულია მათი ეგზისტენციური მდგომარეობა: „ჩვენ ზღვა გადავლახეთ“, „ეს ნავი ჩვენზე უიმედოა“, „შენ შემპირდი დასასრულს და სიცოცხლე გამოგივიდა“... და ა.შ.

ყველაზე არსებითი, რაც მდორე რიტმითა და ბრწყინვალე სცენოგრაფიით „შეიარაღებულ“, შეროს ერთსა-

-თერაპიითაც შეიძლება. ლარს ფონ ტრიერიც ხომ დაახლოებით იმავეს აკეთებს: კინოსეანების დახმარებით ატარებს „მელანქოლიის“ თერაპიის კურსს 21-ე საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

სპექტაკლის კონტექსტი ფართო და გახნილია. იფიქრე, რაც გინდა, სულო და გულო. შეგიძლიათ მაშველად სიორენ კირკეგორის ფილოსოფიური ტრაქტატი მოიხმოთ, ან თუნდაც იბსენის „სიკვდილის როკის“ სიმბოლური ენა. ცისფერი, ცივი განათება და იატაკზე, როგორც წყალზე არეკილი გამოსახულება, მავნე და დეპრესიულ განწყობას ქმნის, რომელიც „ექმენ-დრამატურგიის“ მოყვარულებს ალბათ, არ მოეწონებათ. სამაგიეროდ, წამლად დაედება სკუპტიკოსებისა და ჭემმარიტ ღირებულებებში

რედ სიკვდილს გადაურჩნენ. მათ არც კონკრეტული მიზნები ამოდრავებთ, არც უსამართლო სამყაროსადმი შურისძიება და არც თავისუფლებისგან გარბიან. ზღვის ხმაურში ჩაკარგული მელანქოლია თითქოს განაჩენია, რომელსაც გმირები მშვიდად ხედებიან. ისევე, როგორც მშვიდად კითხულობენ პაპის სასახლის სცენაზე, საფლავის ქვებზე ამოკითხულ სახელებს...

და კიდევ: შეროს „საზღვაო ეგზისტენციში“ ნატიფი ირონიისთვის ადგილი არ რჩება. იქ მხოლოდ სიმშვიდე და უსასოობაა, რაც უხდება პაპის სასახლის სცენას, მაგრამ აშკარად არ ერთმეება ანა ტერეზა დე კვერსმაკერის ქორეოგრაფიას ელექტრომუსიკის თანხლებით. ის მომდევნო ხარისხიან არტ-ხელოვანთა რიგში!

## ვიდეოთამაშები შვილების სანაცვლოდ



ჩინელმა წყვილმა ონლაინ-თამაშების საფასურის გადასახდელად 3 შვილი გაყიდა. ლი ლინი და ლი ძუანი შვილებით 2009 წლიდან ვაჭრობდნენ და როგორც ირკვევა, არცკი იცოდნენ, რომ ამით კანონმდებლობას არღვევდნენ. „ჩვენ არ გვინდა შვილების აღზრდა, ჩვენ მხოლოდ მათი გაყიდვა გვსურს ფულის მისაღებად“, – აცხადებენ ისინი.

მას შემდეგ, რაც ბავშვების გაყიდვის ამბავი შეიტყო, ლი ლინის დედამ სამართალდამცავებს მომხდარის შესახებ შეატყობინა. ჯერჯერობით უცნობია წაუყენებენ თუ არა ცოლ-ქმარს ბრალს. არც ისაა ცნობილი, ვინ იყიდა მათი შვილები.

ლი ლინმა და ლი ძუანმა ერთმანეთი 2007 წელს გაიცნეს და ვიდუოთამაშების სიყვარულის გამო მალევე ძალიან დაახლოვდნენ. პირველი ვაჭი მათ 2008 წელს შეეძინათ. ცოლ-ქმარმა რამდენიმე დღეში ახალშობილი სახლში მარტო დატოვა და ინტერნეტ-კაფეში სათამაშოდ წავიდა.

2009 წელს გვიმერებს გოგონა ეყოლათ. სწორედ იმ პერიოდში გაუჩნდათ ბავშვის გაყიდვის იდეაც. მშობლებმა ჩვილი 500 დოლარად გაყიდეს და მთელი ფული ვიდუოთამაშებში დახარჯეს. მოგვიანებით კი უფროსი შვილის გაყიდვაც გადაწყვიტეს. ამჯერად ცოლ-ქმარმა ბავშვის სანაცვლოდ 4600 დოლარი აიღო. 2010 წელს ლი ლინსა და ლი ძუანს კიდევ ერთი ვაჭი შეეძინათ, რომელიც ასევე 4600 დოლარად გაყიდეს.

## ინტარნეტი ფულზე მნიშვნელოვანია

ადამიანთა უმეტესობისთვის ინტარნეტი ფულზე მნიშვნელოვანია. აშშ-

-ის საგანმანათლებლო ფონდის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ ინტერნეტზე ადამიანები ფულის სანაცვლოდაც ვერ ამბობენ უარს. გამოკითხულთა უმრავლესობა შეთავაზებას – მილიონი დოლარის ნაცვლად არასდროს შესულიყვნენ ინტერნეტში – არ დათანხმდა.

ინტერნეტთან დაკავშირებით კიდევ ერთი გამოკითხვა ბრიტანეთში ჩატარდა. ირკვევა, რომ მომხმარებლების 53% ძალიან ღიზიანდება, როცა ინტერნეტში შესვლას ვერ ახერხებს, 40% კი თავს მარტოსულად გრძნობს. კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანებს იგივე გრძნობები აქვთ მაშინაც კი, როდესაც ონლაინ-სივრცეში მოხვედრას ცოტა ხნით ვერ ახერხებენ.

გამოკითხვის მონაწილეებმა იმ მოწყობილობებზე უარის თქმა, რომელთა



დახმარებითაც ინტერნეტში შესვლა შესაძლებელი, ალკოჰოლისა და სიგარეტისთვის თავის დანებებას შეადარეს. ერთ-ერთმა გამოკითხულმა ისიც კი განაცხადა, რომ ინტერნეტის აკრძალვა მისთვის ხელის მოკვეთის ტოლფასია. სხვათა შორის, აშშ-ში ინტერნეტთან დაკავშირებით კვლევა 2010 წლის ბოლოსაც ჩატარდა. მაშინ ამერიკელების 28%-მა განაცხადა, რომ ინტერნეტი ის ტექნოლოგიაა, რომლის გარეშეც ისინი ცხოვრებას უბრალოდ ვერ შეძლებენ.

## Facebook iPad-ისთვის მზადაა

პლანშეტ iPad-ის მფლობელები მალე Facebook-ზე სტატუსების განახლებას,



მეგობრების პოსტების წაკითხვასა და ფოტოების ატვირთვას ოფიციალური დამატებით შეძლებენ. გავრცელებული ინფორმაციით, Facebook iPad-ისთვის თითქმის მზადაა და მისი პრეზენტაცია უახლოეს მომავალში შედგება. პროგრამის ჩამოტვირთვა კი მომხმარებლებს iTunes-იდან შეეძლებათ. ინფორმაცია, რომ Facebook iPad-ისთვის ოფიციალურ დამატებაზე მუშაობდა, დაახლოებით 1 თვის წინ გავრცელდა.

## სასაქონლო ზღვარი Facebook-ზე

ავსტრალიის ხელისუფლება Facebook-ის მომხმარებლებისთვის სასაქონლო ზღვრის დაწესებას განიხილავს. ქვეყნის იუსტიციის მინისტრის რობერტ მაკლილანდის განცხადებით, კანონპროექტზე მუშაობა მშობლების საჩივრების საფუძველზე დაიწყო. ავსტრალიელები აცხადებენ, რომ სოციალურ ქსელზე სასაქონლო შეზღუდვის არარსებობა მათ შვილებს ზიანს აყენებს.

კანონმდებლებმა შესაძლო სასაქონლო ზღვართან დაკავშირებით საკმაოდ ბევრი წინადადება მიიღეს, თუმცა ამჟამად ხელისუფლება Facebook-ის 18 წლამდე მომხმარებლებისთვის აკრძალვას განიხილავს. ამასთან, მშობლებს



საშუალება ექნებათ, შვილებს ინდივიდუალურად მისცენ სოციალურ ქსელზე შესვლის უფლება.

Facebook ავსტრალიაში ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია. ქვეყნის მოსახლეობა 22 მილიონს შეადგენს. Facebook-ით კი თითქმის ნახევარი – 10 მილიონი ადამიანი სარგებლობს.

## Google+-ს 20 მილიონი მომხმარებელი ჰყავს



გაშვებიდან 3 კვირაში Google+-ზე უკვე 20 მილიონი მომხმარებელი დარეგისტრირდა, მათ შორის 5 მილიონზე მეტი ამერიკელია. კომპანია comScore-ის მონაცემებით, მომდევნო პოზიციებს რეიტინგში ინდოელები და ბრიტანელები იკავებენ. Google-ში ამ ციფრებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა ექსპერტებმა 20 მილიონიან აუდიტორიას შთამბეჭდავი უკვე უწოდეს. მარკ ცუკერბერგის Facebook-ს იგივე რაოდენობის მომხმარებლების მოსაპოვებლად სამი წელი დასჭირდა.

მაჩვენებლები პოზიტიურია იმის გათვალისწინებითაც, რომ Google-ს სოციალური ქსელის აქტიური განვითარება ძირითად აუდიტორიაში ჯერ კიდევ არ დაუწყია. ეს აუდიტორია კი თვეში დაახლოებით მილიარდ ადამიანს შეადგენს.

სოციალური ქსელი Google+ სატესტო რეჟიმში ივინის ბოლოს გაეშვა. 14 ივინის კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების წარდგენისას ინტერნეტ-გიგანტის გენერალურმა დირექტორმა ლარი პეიჯმა განაცხადა, რომ სოციალური ქსელის მომხმარებლების რიცხვ-

მა 10 მილიონს გადააჭარბა. Google-ში აღნიშნავენ, რომ კომპანია სოციალური ქსელის შესაძლებლობების გაფართოებაზე მუშაობს. არაოფიციალური ინფორმაციით, კორპორატიული მომხმარებლებისთვის ექაუნთების სპეციალური ტიპი მზადდება, მუშავდება Gmail-თან ინტეგრაციის სისტემაც.

## Apple სტივ ჯობსის შემცვლელს ეძებს

ამერიკელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ Apple-ის დირექტორთა საბჭო კომპანიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე სტივ ჯობსის შემცვლელს ეძებს. მედია-საშუალებების ცნობით, ჯერჯერობით კონკრეტულ კანდიდატურებზე საუბარი არ ყოფილა, თუმცა ტოპ-მენეჯერები მოვლენების სავარაუდოდ განვითარებას უკვე განიხილავენ. ჯობსი უკვე დიდი ხანია ავადმყოფობის გამო შვებულებაში იმყოფება.

ჟურნალისტების თხოვნას, ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი გაეკეთებინა, ჯობსმა შემდეგნაირად უპასუხა: ვფიქრობ, რომ ეს სისულელეა. სტივ ჯობსმა, როდესაც წლის დასაწყისში სამკურნალოდ მიდიოდა, განაცხადა, რომ კომპანიის მართვა კვლავაც მას რჩება და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას კვლავაც გააგრძელებს. ამის შემდეგ Apple-ის დამფუძნებელი საზოგადოების წინაშე ორჯერ გამოჩნდა: ერთხელ მან iPad 2 წარადგინა, მეორედ კი კონფერენცია Apple WWDC გახსნა და iCloud-ის პრეზენტაცია გამართა.



## სმარტფონი 3D კონტენტით Samsung-ისგან

Samsung ახალ სმარტფონზე მუშაობს, რომელსაც 3D კონტენტის მხარდაჭერა ექნება. გავრცელებული ინფორმაციით, აპარატი, რომელსაც პირობითად ამჟამად Galaxy 3D ეწოდება, სენსორული 4,3 დიუმიანი დისპლეით აღიჭურვება. სპეციალური სათვალის გამოყენება მომხმარებლებისთვის აუცილებელი არ იქნება.

კომუნიკატორს Exynos-ის პროცესორი და 8 მეგაპიქსელიანი ორმაგი კამერა ექნება. Galaxy 3D შესაძლოა გაყიდვაში 2011 წლის ბოლომდე გამოჩნდეს.



ტელეფონი სავარაუდოდ ოპერაციულ სისტემა Android 2.3-ზე იმუშავებს.

3D კონტენტის მხარდაჭერით სმარტფონებს მომხმარებლებს სხვა მწარმოებლები უკვე სთავაზობენ. მაგალითად, LG Electronics-ის Optimus 3D, რომელსაც 4,3 დიუმიანი ეკრანი და ორი კამერა აქვს.

მომზადა ნინო ნატროშვილმა.

# ინგლისი შავ სამოსში



გიო ახველიანი

მოგეხსენებათ, ამ შემოდგომაზე რაგბის მსოფლიო თასი უნდა გათამაშდეს ახალ ზელანდიაში. დიდი და საოცარი მოვლენაა და ყველა მონაწილეს ემზადება, იმათ შორის კი, საქართველოც.

სწორედ ამ შეჯიბრის ჯგუფურ თამაშში, 18 სექტემბერს საქართველო ინგლისს ეთამაშება დანედინის მინდორზე. ამ თამაშში ინგლისელებს თავიანთი ტრადიციული თეთრი სამოსი ეცმევათ, ჩვენ კი ალბათ, ალისფერი. ოღონდაც, საქართველო-ინგლისის მატჩამდე ერთი კვირით ადრე, ინგლისი არგენტინას ხვდება იმავე დანედინში და სწორედ იქ ატყდება სტვენა, რადგან არგენტინას კი ეცმევა თავის თეთრ-ცისფერი, როგორც მატჩის პირველ ნომერს, ინგლისი კი სათადარიგო ფორმით გამოვა მინდორზე და ის ფორმა იქნება სრულიად შავი.

მანამდე, ექვს აგვისტოს ინგლისი ამავე შავი სამოსით გასახურებელ მატჩს ითამაშებს უელსელებთან.

ეს დიდი უცნაური ამბავია, რომ ინგლისმა თუნდაც სათადარიგო სამოსად სრულიად შავი ფორმა აირჩია. თავითფეხებამდე შავი, ანუ „ოლ ბლექი“ და სწორედ ასე ჩაცმული გამოვა თავის პირველ თამაშზე ახალ ზელანდიაში.

საქმე ის არის, რომ შავი სამოსით მსოფლიოში მხოლოდ ერთი გუნდი იცნობა, ახალი ზელანდიისა. იცნობა კი არა,

ასეც ჰქვია: „ოლ ბლექი“ და ასეა უკვე 127 წელიწადია. სხვანაირად წარმოუდგენელია.

რატომ აირჩია ინგლისის ნაკრების უფროსობამ სამსოფლიოთასო მეორე სამოსად სრულიად შავი, ძნელი სათქმელია.

შესაძლოა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ფერის სამოსი მოუვიდა თვალში. რას გაუგებ გუნდის უფროსებს, ახალზელანდიელებს კი ეს ამბავი აშკარად არ ევასათ. არ მოეწონათ ეს ინგლისური ფანდი. თუ ეგებ არც ფანდი. მაგრამ მაინც, რალაც მოულოდნელი.

„ოლ ბლექის“ ოდინდელმა კაშკაშა ვარსკვლავმა, მთაკაცმა ჯონა ლომუმ, რომელსაც მსოფლიო თასების ისტორიაში ყველაზე მეტი, 15 ლელო გაუტანია, ისიც კი თქვა, ჩემთვის ეგ ამბავი წარსულის დიდ მოთამაშეთა ერთგვარ უპატივცემულობადაც კი გამოიყურებაო. რა გამოდისო, ჩვენ ცნობილი ვართ იმით, რომ შავი გვაცვია და ინგლისელები კი იმით, რომ თეთრიო.

რაგბიში ხომ ტრადიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ოფიციალურად, მსოფლიო თასის მასპინძლებმა თქვეს, ჩაიცვან, ჩვენ როგორ დაეუშლითო, პირიქით, ვიმედოვნებთ, პუბლიკას ასე გამოწყობილი ინგლისი მოეწონებაო. მაგრამ არაოფიციალური აზრი კი მაინც ინგლისელთა წინააღმდეგაა.

ბოლო დროს ინგლისს გასვლით ფორმად რუხი ჰქონდა ხოლმე, ეს შავი კი დიზაინერებს 18 თვის წინ მოუფიქრებიათ და ახალი ზელანდიის რაგბის კავშირისთვისაც მიუმართავთ, თქვენი ნებართვით, შავს შევკერავთო. შეკერეთო, იმათაც.

მსოფლიო თასის წინ კი ვითარება ისეთია, რომ ახალი ზელანდია რომელიც 1987 წლის პირველი მსოფლიო თასის შემდეგ არ ყოფილა ჩემპიონი, ყველა ამ შეჯიბრზე კი პირველ ფავორიტად ითვლებოდა, ახლა მთლად მასპინძელია და ფავორიტი ხომ არი და არი. ჩვენაც შევხედოთ და დაველოდოთ სექტემბერს. დიდი კარგი სარაგბო ამბავი კი მოგველის.

ინგლისს კი ჯგუფურ თამაშებში მხოლოდ ერთხელ უწევს შავი სამოსის ჩაცმა, თუმცა კი მერე, როცა გასაჯარდნი წრეები დაიწყება, ეგებ კიდევაც დასჭირდეს. ასეა თუ ისე, ეს შავი რალაცას ნიშნავს. დიზაინერმა კი მოიფიქრა და ნაკრებმა ჩაიცვა, მაგრამ ინგლისელებს შემთხვევითი რამეები ჯიბეშიც კი არა აქვთ ჩარჩენილი და საუკეთესო მორაგბეთა მხარ-ბეჭზე ხომ მით უმეტეს.



# ელისო ბოლქვაძის ხონსახტი ბათუმში



ქალაქ ბათუმში 6 აგვისტოს, 21:00 საათზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების ორგანიზებით ცნობილი ქართველი პიანისტის — ელისო ბოლქვაძის საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება ა/წ იანვარში დაფუძნდა და მისი მთავარი მიზანია ცენტრის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე დაწესებულების მხარდაჭერა და მისი უნიკალური, ეროვნული მნიშვნელობის კოლექციის დაცვისა და კვლევის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად საზოგადოება სხვადასხვა პროექტისა და ღონისძიების ორგანიზებას გეგმავს.

მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარეა რუსუდან კერვალიშვილი. საზოგადოებას მართავს გამგეობა, რომლის წევრებიც არიან: გიული ალასანია, ნიკოლოზ რურუა, აკაკი სეფერთელაძე, ალექსანდრე კვიციანი, მამუკა ქაცარავა, ლაშა პაპაშვილი, გიორგი თარგამაძე, ირაკლი კენჭოშვილი და სხვები.

ელისო ბოლქვაძე მეგობართა საზოგადოების საპატიო წევრია. დაგეგმილ კონცერტზე შერულდება ლუდვიგ ვან ბეთოვენისა და ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებები. ღონისძიებას მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრების გარდა, დაესწრებიან სხვა დაინტერესებული პირები და საგანგებოდ მოწვეული სტუმრები, რომლებიც სიტყვით მიმართავენ საზოგადოებას.

თეატრის ფოიეში, ღონისძიების დაწყებამდე, მოეწყობა გამოფენა „ქართული ხელნაწერი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერების ზუსტი ასლები (მულაჟები): მათ შორის ხანმეტი ლექციონარის (VII-VIII სს.); სინური მრავალთავის (864 წ.); ასტროლოგიური ტრაქტატის (1188-1210 წწ.) მოქვის სახარების (1300 წ.); „ვეფხისტყაოსანის“ უძველესი ნუსხების და სხვა ხელნაწერთა ასლები.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თემატური ბანერებიც, რომლებიც ასახავს ხელნაწერი წიგნის შექმნის ისტორიასა და განვითარებას.

კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად ჩაირიცხება მეგობართა საზოგადოების ანგარიშზე და საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად სხვადასხვა პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

საკონტაქტო ინფორმაცია:  
577 200 703; 571 80 40 80

# შეთამაშება ჰხოჯასთან

(იბჰოჰიოხასია თეაზე - "ხოხოხ ბავასაჩე საზაფხულო ხელაბეაბი")



კაბა თოლორდავა

„ტურისტი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ დაბრუნდება. მოგზაური შეიძლება, არ დაბრუნდეს.“ ფოლ ბაულზის ამ ფრაზის ჩემებური, კონტექსტიდან ამოღებული ინტერპრეტაციის მცდელობა, თავის დროზე ძალიან დამეხმარა იმის გააზრებაში, თუ როგორაა შესაძლებელი მოუნახულებელი, ან თუნდაც უკვე მონახულებული და ნაცნობი ადგილების მაქსიმალურად ეფექტური აღქმა. ამ ძალისხმევის მეშვეობით მე დღეს უკვე ვიცი, რომ ნებისმიერი გეოგრაფიული ადგილის შეფასებისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ გინდა იგრძნო თავი ამა თუ იმ ადგილას — როგორც ტურისტმა, თუ როგორც მოგზაურმა. ეს თუ გაარკვევ და რაც მთავარია, კარგად შეაფასე შენი შესაძლებლობები, ყველაზე საინტერესო მამინ დაინყება, რადგანაც ამ დროისათვის უკვე გეცოდინება, რომ ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილების დინამიკა შენგან ყოველთვის თ ა მ ა შ ი ს ელემენტების შეტანას ითხოვს. თუ ამას მიხვდი, მაშინ იმასაც სწრაფად გაიზრებ, რომ ტურისტობანას თამაში უბრალოდ უინტერესოა. ტურისტი დონდლო არსებაა, მოგზაური კი შეესაძლებლობა; ტურისტი ძირითადად მიკრო-გარემოს ათვისებითა დაკავებული იმ დროს, როდესაც მოგზაური მაკრო-გარემოს სხვადასხვა განწყობით და საშუალებებით აღქმას ცდილობს და ამ დროს ის გამუდმებული ზ რ დ ი ს მდგომარეობაში იმყოფება. მოგზაური მოგზაურია უცნობ ტერიტორიებზე და ის ძალაუნიებურად მოგზაურად რჩება მაშინაც, როდესაც უბრალოდ დასასვენებლად მიდის მისთვის კარგად ნაცნობ ტერიტორიაზე, მაგალითად აჭარაში, ან, უფრო კონკრეტულად, ბათუმში.

სხვადასხვა ვითარების გამო, ბათუმი და ზოგადად, აჭარა, დღეს გარდამავალი, ვირტუალურსა და რეალურს შორის გამომწყვდეული ტერიტორიაა. ის „მე ამისგან გავაკეთებ“ რეჟიმში არსებობს და აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ განზრახვა და პროექტი ა. ვინაიდან ქართველების უმრავლესობისათვის ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ფაქტი აღმოჩნდა, რომ ეს პროექტი ერთი ადამიანის პრიორიტეტების სიაში პირველ ადგილზეა, აჭარის და განსაკუთრებით ბათუმის „ნაკითხვის“ მცდელობისას ისინი ნებაყოფლობითი დეზორიენტაციის მსხვერპლი ხდებიან და ძალიან ხშირად საკუთარი პოლიტიკური პოზიციით განპირობებულ არდადეგებს იწყობენ ერთი შეხედვით კარგად ნაცნობ რეგიონსა თუ ქალაქში. ასე ხდება ტურისტი საკუთარ ქვეყანაში ქართველი დამსვენებლის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, რაც, რა თქმა უნდა, შემდგომი ზრდის ფარგლებს გარეთ ტოვებს მათ და მხოლოდ



ბათუმი

„წუნუნის“ ან „ქება-დიდების“ რეჟიმში, ძირითადად, მიკრო-გარემოს შიგნით აძლევს ყველაფრის აღქმის და შეფასების საშუალებას. მოკლედ ვიტყვი — ამ დროს ისინი ძალიან ბევრს კარგავენ.

და პირიქით, ყველამ, ვინც ზოგადად რეგიონთან და კონკრეტულად ბათუმთან სხვანაირად „შეთამაშება“ მოახერხა, ვთქვათ, წლევანდელი ზაფხულის პირველ ნახევარში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ მიიღეს პროექტის მდგომარეობაში მყოფი სივრცის თამაშის ნესები, მზადყოფნით მოირგეს მის მიერ შემოთავაზებული ჯერ კიდევ შეზღუდული და ხშირად დაუხვეწავი საშუალებები (ყველაზე მოსახერხებელი ერთ-ერთი მაგალითი ამ შემთხვევაში ველოსიპედების გაქირავების სისტემა და „ველო-სადგურებია“) და უკვე ჩვევაში გამჯდარი ქცევის მიღმა შეეცადნენ ნაცნობ სივრცეში „შერბენას“, დარწმუნებული ვარ ბევრად უფრო მეტი სიამოვნება მიიღეს დასვენებისგან, ვიდრე მიკრო-გარემოში ნებაყოფლობით ჩარჩენილმა დამსვენებლებმა.

ნებისმიერი სივრცე მასთან მიახლოების მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს იქ ჩასულ ადამიანებს და მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული რომელ „ბილიკს“ ავირჩევთ ამა თუ იმ სივრცესთან მისაახლოებლად. ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მკარნახობს, რომ „მოგზაურობანას“ თამაში ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე „ტურისტობანა“, აქედან გამომდინარე ვიტყვი, რომ წელს ძალიან, ძალიან კარგად დავისვენე და დავილაღე აჭარაში. ყველაფერი დანარჩენი შეგიძლიათ ჩემთან პირადი საუბრების დროს შეიტყოთ.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი  
გორი, ქარელი, საშურნი  
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია  
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი  
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

